პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვონცებით.

№ 16 (868) შაბათი, 19 იანვარი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 16 (6)

დღიური

— შეერთებულ შტატების კონგრესი იმუშავებს ახალ კანონებს ამერიკაში შემოსვლელთა რიცხვის შესამცირებლად.

— ინდოეთში მოხდა დიდი მიწის ძვრა; ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

— ახალმა მიწის ძვრამ იაპონიაში დაანგრია 2 ათასი სახლი. არის ადამიანთა მსხვერპლი.

— საფრანგეთის პარლამენტში იზრდება ოპოზიცია მთავრობის საფინანსო ზომების წინააღმდეგ.

— კვირისათვის ინგლისში მოელიან რკინისგზელთა გაფიცვას.

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი
აცხადებს კონკურსს
ლენინის ძეგლის ესკიზისას,

რომელიც უნდა იქმნეს დადგმული ამხ. ლენინის სახელობის მოედანზე ლენინის ქ. და მოსკოვის ქ. კუთხეში.

ჟიურის მიერ მიღებული ესკიზები მიიღებენ ჯილდოს:

1) ჯილდო 100 მანეთი ბაჯაღლო ოქროთი
2) 2 „ 80 „ „ „
3) 3 „ 50 „ „ „

ესკიზის წარმოდგენის უკანასკნელი დრო გაგრძელებულია ა. | წ. პირველ თებერვლამდე დღის 3 საათამდე.

ცნობების მიღება შეიძლება აღმასკომის პრეზიდიუმში.

4—3 ნის. № 841. **პრეზიდიუმი**

შემნახველი კასები

ტფილისში გასული წლის ნოემბრიდან გაიხსნა რამოდენიმე სახელმწიფო შემნახველი კასა.

შემნახველ კასას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთოდ სახელმწიფო ფინანსების განმტკიცებაში, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში.

პირველ ყოვლისა ის წარმოადგენს ერთ საუკეთესო საშუალებას სამუშაო ხელფასის რეალური ღირებულების შენარჩუნებისათვის.

მუშა-მოსამსახურეთ ხელფასი ეძლევათ უმთავრესად ბონებით. ბონების კურსი კი, როგორც ვიცით, დღითიდღე ეცემა და კარგავს სყიდვითი ძალას.

თუ მუშა-მოსამსახურემ ბონები ხელში დაიტოვა და წვრილ-წვრილად ხარჯა ყოველ დღიურ საჭიროებისათვის ერთი-ორი კვირის და თვის განმავლობაში, მისი რეალური ხელფასი დაიკლებს 10, 20, 30 და შეიძლება მეტი პროცენტითაც.

სწორედ ამას ვხედავთ ჩვენ, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, როცა ბონების ფასის დაცემამ სწრაფი, პირდაპირ კატასტროფიული ხასიათი მიიღო.

მუშა-მოსამსახურე, რომლის არსებობის წყარო მხოლოდ მისი სამუშაო ქირაა, მოიცვა შიშმა. ასეთ პირობებში ის ვერ იგრძნობს თავს მშვიდობიანად, მტკიცედ, და ბირჟის თამაშის მსხვერპლი ხდება.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ უმთავრეს ამოცანათაგანს დღეს შეადგენს [illegible] ხელფასის.

ძირითადად ამ ამოცანის სასურველად გადაჭრა ჰგულისხმობს საერთოდ ჩვენი ფინანსიური მდგომარეობის გაჯანსაღებას, კერძოდ მტკიცე ხურდა ვალუტის შემოღებას, რაც კიდევაცაა განზრახული მიმდინარე წლის გაზაფხულისათვის.

მაგრამ ამასთან, მით უმეტეს დღევანდელ პირობებში, როცა ჩვენ კიდევ ვერ მივაღწევით საჭირო ფინანსიური სიმტკიცისათვის, შემნახველ კასას შეუძლია ამ საქმეში ფრიად საგრძნობი როლის თამაში.

მუშა მოსამსახურეს საშუალება ეძლევა შეიტანოს შემნახველ კასაში თავისუფალი თანხა და ამით გადაარჩინოს ის ღირებულების დაკარგვას. საჭიროების დროს მას შეუძლია გამოიტანოს თავისი ფული, ან მთლად, ან ნაწილად, დღის კურსის მიხედვით. შესატანი თანხის რაოდენობა დაწყებულია 5 კაპეიკიდან 10 მანეთამდე ჩერვონცებით. ასე რომ თვით მცირე ხელფასის მუშა მოსამსახურეს შეუძლია ისარგებლოს შემნახველი კასით. მუშათა კლასისათვის შემნახველი კასა უეჭველად დიდ შეღავათს წარმოადგენს.

მაგრამ შემნახველი კასა სასარგებლოა არა მარტო მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, არამედ ყველა იმ დანარჩენ მოქალაქეთათვისაც, რომელთაც სურთ იხსნან გაიაფებისაგან მათ ხელში მოქცეული ბონები.

შემნახველი კასა ყველასათვის საიმედო სალაროს წარმოადგენს.

მეორე მხრივ აღსანიშნავია, რომ შემნახველ კასას დიდი მნიშვნელობა აქვს თვით სახელმწიფოსათვის. იქ მიბარებული ფული აფართოვებს მის ფინანსიურ საშუალებებს. იმ ფულს რომელიც დღეს კერძო მოქალაქის ჯიბეში უქმად ყრია, თუ ის შეტანილ იქნება შემნახველ კასაში, სახელმწიფო დაატრიალებს, გამოიყენებს ამა თუ იმ სახელმწიფო და საზოგადო საჭიროებისათვის.

ამასთან შემნახველი კასის გაძლიერება, მუშა მოსამსახურეთა და კერძო მოქალაქეთა თავისუფალი თანხის იქ დებით, ხელს შეუწყობს ფულის ბაზრის მოწესრიგებას, შეანელებს შავი ბირჟის როლს და გაზრდის სახელმწიფოს ფინანსურ ორგანოების რეგულიატორულ ძალას ფულის კურსის განმტკიცების საქმეში.

შემნახველ კასის ამოქმედებას აქვს დიდი პოლიტიკური აზრიც.

მისი გაძლიერება არის, სხვათა შორის, არსებული ხელისუფლებისადმი პოლიტიკური ნდობის საკითხიც.

წინედ, როცა მწვავე ეკონომიურ კრიზისს განვიცდიდით და საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეში ეჭვი ეპარებოდათ ზოგიერთ ელემენტებს, ნაადრევი და შეუძლებელი იყო ლაპარაკი მუშურ-გლეხურ ხელისუფლების შემნახველ-გამსესხებელ ოპერაციებზე. მაშინ სახელმწიფოს თავის თანხას არავინ მიაბარებდა, იმის შიშით, რომ შეიძლება აღარ დამიბრუნონო.

ასეთი ეჭვიანობა უკვე წარსულს ეკუთვნის და საბჭოთა ხელისუფლებას დღეს გაჩაღებული აქვს სხვადასხვა გვარი საკრედიტო ოპერაციები.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სამეურნეო მდგომარეობა საგრძნობლად გამოკეთდა, მუშურ-გლეხური მთავრობა განმტკიცდა და მოქალაქეთათვისაც საკმაოდ გარკვეულია მისი ეკონომიური და ფინანსიური გზა.

შემნახველი კასების დაარსება ერთიერთი გამოხატულებაა ამ მდგომარეობის, საბჭოთა ხელისუფლების ყოველმხრივი განმტკიცების, მუშურ გლეხურ მთავრობასა და ხალხს შორის ურთიერთი ეკონომიურ ფინანსიურ თანამშრომლობის გაძლიერების.

მუშათა კლასის მოვალეობას შეადგენს თავის თავისუფალი თანხის იქ დაბანდებით ხელი შეუწყოს შემნახველ კასების მუშაობას, როგორც საკუთარი, სადღეისო, ისე თავის, მუშური სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

შემნახველი კასების იდეა პოპულიარული უნდა გახდეს ფართე მშრომელ მასებში.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ შემნახველი კასები უნდა შეეცადონ ყოველნაირად გააადვილონ ფულის მიღების და გაცემის საქმე, რათა ამაზე მუშა-მოსამსახურეთ და სხვა მსურველთ არ დასჭირდეთ დროს დაკარგვა და დავიდარაბა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება მთავრობის დეკრეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ.

ვინც კოოპერატიულ ცხოვრებას ჩვენში თვალყურს ადევნებდა, მან, ალბათ, იცის, თუ რა მოუთმენლად მოელოდენ სასოფლო სამეურნეო კოოპერაციაში მომუშავენი მის გამოცემას. საქართველოს მეურნეობა უმეტესად სოფლის მეურნეობაა; ასეთ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას პირველი ადგილი უნდა დაეჭირა. მაგრამ ასე როდი მოხდა. საქართველოს წარსული ცხოვრების საერთოდ უკუღმართად მოწყობის გამო, თავიდანვე ჩვენი კოოპერაციის ამ დარგს ათასნაირი დაბრკოლების გადალახვა უხდებოდა. მის განვითარებაში არა ერთხელ ჰქონია ადგილი ისეთ მომენტებს, როცა მასში მომუშავენი გულის ფანცქალით იდგენ „ხვალინდელ დღის" მოლოდინში. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძნელი უნდა ყოფილიყო და კიდევაც იყო ასეთ პირობებში მუშაობა. მონათესავე კოოპერატიულ ორგანიზაციათა შორის სრულიად არა კოოპერატიული განწყობილება სუფევდა; ასეთი განწყობილება წლობით იქმნებოდა და მომუშავეებზე ტრადიციულად გადადიოდა. მიუხედავად ასეთი პირობებისა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია მაინც არსებობდა, მაგრამ მის განვითარებას სავსებით სტიქიური ხასიათი ჰქონდა. აქ რაიმე წინასწარ გაგეგმულ მუშაობაზედაც ლაპარაკი ზედმეტი იყო. ნუ მოგეჩვენებათ ასეთი მსჯელობა გადაჭარბებულად; ვინც მასალებს გაეცნობა, მისთვის ეს სრული ჭეშმარიტება იქნება.

რა იყო ამის მიზეზი?

ამის მიზეზები გახლდათ ის, რომ ამ ფრიად რთულ დარგს არ ყავდა ჭირისუფალი, მზრუნველი. „წარმოკავშირი", რომელიც ამ საქმისათვის ბუნებრივად მოწოდებული იყო, აღნიშნულ პირობების და სხვადასხვა მიზეზების გამო დამბლით იყო შეპყრობილი.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში შემოსვლისთანავე დაიწყო ყველა არსებულ ღირებულებათა გადაფასება. ეჭვი არ იყო, ეს გადაფასება კოოპერატიულ მოძრაობამდისაც მოაწევდა და კოოპერატიულ მშენებლობას სათანადო გზაზე დააყენებდა, მაგრამ ამისათვის დრო იყო საჭირო. დრო კი ჩვენთვის ძვირფასი იყო, ვინაიდან, როდესაც სხვა მოკავშირეთა რესპუბლიკებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობა ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა, ჩვენში იგი დამბლა-დაცემული, ერთ ადგილზე იდგა.

ასეთ გარემოებას ბოლოს უღებს მთავრობისაგან გამოცემული დეკრეტი; იგი მუჯლუგუნია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებისათვის. დეკრეტით სახალხო დიდ საქმეს მტკიცე საძირკველი ეყრება; სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია დაშვებულია და კანონით ცნობილი ყველა იმ უპირატესობებით, რომლებითაც აქამდე მხოლოდ სამომხმარებლო კოოპერაცია სარგებლობდა. ამიერიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემა „წარმოკავშირი"-თ სათავეში, ისე, როგორც ამას აქვს ადგილი სხვა ქვეყნებში, განვითარებული კოოპერატიული მოძრაობით, მაგრათ ჩასჭიდებს ხელებს იმ დიდ საქმეს, რომელსაც საქართველოს მშრომელთა გლეხობის მეურნეობის აღორძინების და განვითარების საქმე ეწოდება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ჩასახვის და განვითარების საქმეს ყოველგან და ყოველთვის რამოდენიმე თაობის ინტენსიური მუშაობა მოუთხოვია. ჯერ კიდევ ძველ რუსეთში მას დიდ დახმარებას უწევდენ სამომხმარებლო კოოპერაცია, ერობები, სხვადასხვანაირი დაწესებულებები და პირები და, წარმოიდგინეთ, მაშინდელი მთავრობაც კი. რამოდენიმე წლობით ასეთმა დახმარებამ და ხელის შეწყობამ ბოლოს თავისი გაიტანა; მან შექმნა თავისი სისტემა საკუთარი ცენტრით სათავეში და იგი დღეს სამეურნეო აღმშენებლობის ფრონტზე უზარმაზარ მუშაობას აწარმოებს. ასევე უნდა მოიქცეს საქართველოც. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობა გაცილებით უფრო რთული და ძნელი საქმეა, ვიდრე სამომხმარებლო კოოპერაციისა. მხოლოდ ყოველდღიური ყურადღება და ხელის შეწყობა, როგორც პარტიული წრეების, ისე ხელისუფლების ორგანოებისა შესძლებს იმის სისრულეში მოყვანას, რაც ყველა სხვა ქვეყნებში ასე ნელის ნაბიჯით და მძიმეთ ვითარდებოდა.

მძიმეა ის ტვირთი, რომელიც „წარმოკავშირ"-ს აწევია ბეჭებზე, მაშინ როდესაც მრავალია ის დაბრკოლება, რომელიც მას წინ ელობება. მაგრამ იმ ძალის სისტემატიური და ინტენსიური დახმარებით და ხელის შეწყობით, რომელმაც სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის არსებობა ამიერიდან უზრუნველჰყო დეკრეტით, ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაც, „წარმოკავშირი"-ს მეთაურობით, შესძლებს დაკისრებულ ამოცანების პირნათლად შესრულებას.

ჯ—ლი.

ღვინოზე აქციზის მომატების გამო *)

გ. | წ. 26 ნოემბრის დეკრეტით, ღვინოზე გადიდდა სააქციზო გადასახადი ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფარგლებში. სუფრის ღვინოზე, რომლის სიმაგრე არ აღემატება 14 გრადუსს, ვედროზე 64 კაპ. მაგარ და ტკბილ ღვინოებზე, რომელთა სიმაგრე 14 გრადუსზე მეტია და არ აღემატება 20 გრადუსს ვედრო იხდის 2 მან. 24 კაპ.

ხოლო ეს ღვინოები თუ გატანილ იქნება ამიერ-კავკასიიდან გარეშე საბჭოთა რესპუბლიკებში პირველი იხდის ვედროზე 3 მან. 20 კ. და მეორე 8 მანეთს.

ასეთი გადასახადის ატანა ძალიან გაუჭირდება ჩვენს ღვინოებს.

მევენახეობას და მეღვინეობას საქართველოში მეურნეობის დარგთა შორის მეორე ადგილი უჭირავს და მას სახალხო მეურნეობაში უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს.

ჩვენში ღვინის წარმოება სრულიად ხალხურია და მევენახეობას ეწევა აუარებელი მშრომელი გლეხობა; ის 40—45 ათასი დესეტინა ვენახი, რასაც საქართველოს ვენახების სივრცე უდრის ეკუთვნის დაახლოვებით 100 ათას გლეხის ოჯახს.

გლეხების დიდ უმეტესობას აქვს დღიური და დღიურზე ნაკლები ვენახი სივრცით.

ვენახებს საზოგადოთ საქართველოში და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში უჭირავს მცირე ფერდობი და ციცაბო ადგილები, სადაც სხვა მცენარე არც კი ვარგობს და არ არის ხელსაყრელი გლეხისათვის.

100 ათასი გლეხისათვის, რომელიც მევენახეობას ეწევა, ერთად ერთ შემოსავლის და ცხოვრების წყაროს ღვინო შეადგენს და როცა ღვინის მოსავალი არ არის, ამოდენა ხალხი მშიერი რჩება. შორაპნისა, ქუთაისისა, რაჭისა, თელავისა და სიღნაღის მაზრების მევენახეთა 85 პროცენტი ყოველივე ხარჯებს ფარავენ მხოლოდ ღვინის შემოსავლით და წარმოუდგენელია ის უბედურება, რომელიც ჩვენს ხალხს თავს დაატყდებოდა, ვინიცობაა, ვენახები რომ მოისპოს.

მევენახეობა არ არის უბრალო საქმე და ვაზი ყოველ მცენარეზე უფრო სათუთი და ხარჯიანი მოსავლელია;

არც ერთ მცენარეს არ სჭირდება იმოდენა ხარჯი, ცოდნა და გამოცდილება, როგორც ვაზის მოვლას და ღვინის დაყენებას.

ომამდის დესეტინა ვენახის დამუშავება წელიწადში ჯდებოდა 300 მანეთი; ეს იმ ხარჯს გარდა, რაც საჭიროა ვენახის გაშენებისათვის თავიდან.

მთელი წლის განმავლობაში ესაჭიროება ვენახს და ღვინოს პატრონობა; ეს არის მშრომელი გლეხის საქმიანობა და განუწყვეტელი ოფლის ღვრა.

ყოვლად მიუღებელია იმის დაშვება, ვ თომც მევენახეობა ფუფუნების წარმოებას ეკუთვნოდეს და ის მდიდართა საქმე იყოს.

არც ერთ ქვეყანაზე მევენახეობას ამ თვალსაზრისით არ უყურებენ და ყველგან არის მიჩნეული მევენახეობა და მეღვინეობა როგორც დიდი შრომისა და ხარჯის დარგი.

მევენახეობის და მეღვინეობის განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სხვა ქვეყნებში და ამ საგანზე მუშაობენ აუარებელი მეცნიერები, ქიმიკოსები, სადგურები, სასწავლებლები და სხ.

სახელმწიფო უხსნის გზა და კვალს ღვინის წარმოებას და შეღავათს აძლევს მას ყოველივე მხრით

დღეს ჩვენში მევენახეობა და მეღვინეობა განსაცდელშია: პირველი მხარე ჩვენი მევენახეობისა „კახეთი" განადგურებულია ფილოქსერისაგან; დასავლეთ საქართველოში მევენახეობა ჩამორჩა და არავითარი წინსვლა არ ეტყობა მის მოვლა დამუშავებას და სივრცე ვენახებისა კლებულობს.

თვით ღვინის კეთება სწარმოებს ძველის წესით და თანადროების ტეხნიკა და გაუმჯობესება არ არის ხალხში გავრცელებული.

მეტის მეტად გაძნელებულია შოვნა და ძვირია ყოველივე ის, რაც ესაჭიროება ვენახების დამუშავებას და ღვინის კეთებას და მოვლას.

გლეხი მევენახე არის ჩავარდნილი დიდ განსაცდელში და მანამდის ვენახის დამუშავება თუ ღირდა სამასი მანეთი დესეტინა, დღეს ბევრათ უფრო გაძვირებული და გაძნელებულია.

შაბიამანი ღირდა წინედ 3 მან. ფუთი და ეხლა ხურჯერ მეტი ღირს; ასეა გაძვირებული ყოველივე ის, რაც ვენახის და ღვინის მოვლას ესაჭიროება.

ღვინო ნაკლებ ფასებში იყიდება, რა ფასებშიაც ომამდის იყიდებოდა; კახეთში ვედრო ღვინო ღირს 1 მან. 20 კ ჩერვონეცით, იმერეთში ფუთი ღვინო ღირს 60—75 კაპ.

ღვინის გადაზიდვას ადევს დიდი ხარჯი და გლეხები უფრო ხელსაყრელად პოულობენ ღვინის ზიდვას მაგალითად კახეთიდან ტფილისში ურმებით, ვიდრე მატარებლით.

ღვინის ჭურჭელი დიდათ გაძვირდა; თვით ვაჭრობა ღვინისა მრავალი დაბრკოლებებით და გადასახადებით არის შეზღუდული.

გლეხმა აღარ იცის რა ქნას იმ მწირე ადგილებში, სადაც ჩვენი ვენახები არის გაშენებული—დაანებოს თავი მევენახეობას, თუ განაგრძოს წვალება და მარტო ზარალი განიცადოს? ვაი, რომ იმ მწირე მიწებზე სხვა არაფერი მოუვა, თორემ ჩვენ დანამდვილებით ვიტყვით, რომ მრავალი გლეხი იქნებოდა იძულებული თავი დაენებებია თავისი საყვარელი სამუშაოსათვის.

ღვინო (ჩვენ ვლაპარაკობთ სუფრის ღვინოზე) არ არის ფუფუნების საგანი; ის მწარე შრომის შედეგია; ის სჭირდება მშრომელ ხალხს.

მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ღვინო საჭიროა და მარგებელი ადამიანისათვის. რომ საჭირო იყოს, ჩვენ ამ საგანზე აუარებელ საქვეყნოთ ცნობილ მეცნიერების დასკვნებს მოვიყვანდით, მაგრამ დღეს აღარ არის სადაო ეს საკითხი.

ამის მიუხედავათ ღვინო იჩაგრება და მას არა აქვს ისეთი თავისუფალი ადგილი ბაზარზე, როგორც სხვა სანოვაგეს.

იმედია მთავრობა მიაქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას ჩვენი მევენახეობის და მეღვინეობის მდგომარეობას და შეამცირებს იმ გადასახადებს რომლების ატანა მეტად უძნელდება ჩვენს მევენახეობა მეღვინეობას. უამისოდ შეუძლებელია სასოფლო მეურნეობის ამ ძვირფასი დარგის წინსვლა და განვითარება.

კ. ბერეკაშვილი.

---

*) კამათის წესით.

რუსეთის კომპარტიის მეცამეტე კონფერენცია

კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების გამო.

(17 იანვრის დილის სხდომა)

ამხ. პიატაკოვის სიტყვა.

მოსკოვი. 18 იანვარი. „მეურნეობის მმართველობის გეგმის საკითხი არ არის" აკადემიური ხასიათის საკითხი. თუ ჩვენ თავის დროზე ვერ მოვახერხებთ სახელმწიფო მეურნეობის მმართველობის მოგვარებას, თუ ჩვენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის სტიქიას მივახლოვთ ჩვენს მრეწველობას, შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ ახლო მომავალში კაპიტალისტური საფუძველი გადალახავს სოციალისტურ, სახელმწიფო-კოოპერატიულ საფუძვლებს. მორიგ ამოცანად ითვლება ყველა სახელმწიფო წარმოებათა მეურნეობის ერთ სისტემაში გაერთიანება. ამხ. რიკოვი ამბობს, რომ ჩვენ გავაძლიერეთ სახელმწიფო გეგმათა სამმართველო ადამიანებით, მაგრამ მე ვამბობ, საქმე ადამიანებში კი არ არის, არამედ განსაზღვრულ სისტემაში. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო არ ხელმძღვანელობს ტრესტებს და მთელ ჩვენ სახელმწიფო მეურნეობას. არც შრომის და თავდაცვის საბჭო, არც სახალხო კომისართა საბჭო და არც სახელმწიფო გეგმათა სამმართველო ამ საქმეში არ არის ჩაბმული. ჩვენ გვაქვს 72 ტრესტი, ნაციონალიზაციაქმნილი ტრანსპორტი, საბანკო სისტემა, სავაჭრო წარმოებანი—ყველაფერ ამას უნდა განაგებდეს სპეციალური ორგანო.

პარტიამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს საკითხს სახელმწიფო მეურნეობის ორგანიზაციის შესახებ. პოლიტბიურო არ უპირდაპირებს თავის ეკონომპოლიტიკას ცეკას ეკონომპოლიტიკას და მას გაჰყავს სწორი ხაზი მეურნეობის დარგში. მაგრამ ის არ აყენებს პრაქტიკულად იმ საკითხებს, რომლებიც უნდა იქნას დასმული, რათა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის კაპიტალისტურმა სტიქიამ არ წალეკოს სოციალისტურ მეურნეობის ის ჩანასახები, რომლებიც ჩვენ გვაქვს კოოპერატიულ და სახელმწიფო მეურნეობის სახით.

ამხ. ლუტოვინოვის სიტყვა

მოსკოვი 18 იანვ. ამხ. ლუტოვინოვი აღნიშნავს, რომ ხელფასის გამოანგარიშება ხდება საქონლის მანეთებით, ჩერვონეცის მანეთებით და საბჭოთა ფულის ნიშნებით და ამტკიცებს, რომ უხერხულია ჩერვონცებით ხელფასის გამოანგარიშება და საჭიროა საქონლის მანეთის დატოვება. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ფრაქციების ბიურო მიმართავს კონფერენციას წინადადებით იმის შესახებ, რომ ხელფასის ჩერვონცებით გამოანგარიშება არ იძლევა სასურველ შედეგებს და ამიტომ შეუძლებელია ასეთ სისტემაზე გადასვლა, იქ კი, სადაც ეს გადასვლა მოხდა, საჭიროა ყოველთვიურად ხდებოდეს კოლექტიურ ხელშეკრულებათა გადასინჯვა ხელფასის შესაფარდებლად საქონლის მანეთთან.

ამხ. ლუტოვინოვი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი პარტორგანიზაციები, მიუხედავად ცეკას განკარგულებისა, ხშირად პარტიული დისციპლინის წესით აიძულებენ პროფესიონალისტებს ხელი მოაწერონ ისეთ კოლექტიურ ხელშეკრულებებს, რომლებიც ამცირებენ რეალურ ხელფასს. ასეთი პრაქტიკა უნდა განიდევნოს.

ამხ. პრეობრაჟენსკის სიტყვა.

ამხ. პრეობრაჟენსკი ამბობს, რომ სოციალისტურ დაგროვების საკითხი წამოყენებულია ცეკას მიერ სისწორით, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს რომელი წყაროებიდან უნდა მოხდეს ეს დაგროვება. ამხ. პრეობრაჟენსკი საჭიროდ სთვლის გადაწყვეტილ იქნას საკითხი, გლეხურ მეურნეობის გაჯანსაღების რომელი ფორმა უფრო მისაღები: გადასახადები თუ სამრეწველო საგნებზე ფასების მომატება. ამხანაგი პრეობრაჟენსკი არ ილაშქრებს ფინანსიურ რეფორმის წინააღმდეგ, მაგრამ მას საჭიროდ მიაჩნია დიდი სიფრთხილე იქნას დაცული ჩერვონცების ემისიის დროს საბიუჯეტო დეფიციტის და ჩვენი სიღარიბის გამო.

ამხ. კრასინის სიტყვა.

ამხ. კრასინი მიუთითებს იმ წინააღმდეგობიდან გამოსავალზე, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით აქტიურ ბალანსის დარგში – ეს გამოსავალია მხოლოდ უცხოეთის კრედიტი. სესხის მისაღებად საჭიროა აღდგენის გეგმა. ამხ. კრასინი წინადადებას იძლევა გაუმჯობესებულ იქნას ამხ. რიკოვის მიერ წარმოდგენილი გეგმა.

ამხ. მოლოტოვის სიტყვა.

ამხ. მოლოტოვი არჩევს ამხ. პიატაკოვის მიერ წარმოდგენილ წინადადებებს. კონფერენციამ უნდა გაილაშქროს მაქსიმალურ მოგების წინააღმდეგ, ვინაიდან მოგებათა ჩვენი პოლიტიკა მრეწველობის დარგში არ იყო სწორი და ამას მოჰყვა უარყოფითი შედეგები. ოპოზიცია გვირჩევს ზომიერ აქტიურ ბალანსს და არაფერს ამბობს მთავარ თავის ლოზუნგზე—საქონლის ფართო ინტერვენციაზე. ეკონომისტები ძალიან დაიბნენ, მაგრამ სხვის დაბნევას ისინი ვერ მოახერხებენ. ცეკა მიუთითებს ფასების დაკლებასა და გადაჭარბებულ მოგების შემცირებაზე.

ამხ. ევდოკიმოვის სიტყვა.

ამხ. ევდოკიმოვი უპირდაპირებს რა ამხ. პიატაკოვის განცხადებას, ცეკას სამეურნეო აღმშენებლობის პოლიტიკის სისწორის შესახებ 46 ის წერილს, რომელსაც ხელს აწერს ამხ პიატაკოვიც, აღნიშნავს, რომ ეს ერთი მაგალითთაგანია იმისა, რომ ამ ხანაგებს ოპოზიციიდან არ შეუძლიათ თავი გაართონ წამოყენებულ საკითხებს. ამხ. პიატაკოვის პრაქტიკული წინადადებები,—ეს არის საერთო ხასიათის მსჯელობა; რაც არის მასში პრაქტიკული, იგი სწორედ რომ საზიანოა და არა პრაქტიკული. ამხ. კრასინის გამოსვლის გამო ამხ. ევდოკიმოვი აღნიშნავს, რომ პარტიის მუშაობის ხაზი არ ყოფილა მხოლოდ უცხოეთის კაპიტალის მიზიდვისაკენ მიმართული, იყო მხოლოდ ლტოლვა უცხოეთის კაპიტალის მიზიდვისაკენ პროლეტარიატის დიქტატურის სასარგებლოდ და არა საერთაშორისო კაპიტალის სასარგებლოდ

ამხ. კასსიორის სიტყვა.

ამხ. კასსიორი აღნიშნავს, რომ ციფრები და ფაქტები მოწმობენ კერძო კაპიტალის წარმატებას, რომელიც სჭარბობს ჩვენ სახელმწიფო მრეწველობის წარმატებას, რასაც უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. ამხ. კასსიორის აზრით მუშების ეკონომიური მდგომარეობა ზოგიერ შემთხვევაში მიმდინარე წელს გაუარესდა, ხოლო შრომის ნაყოფიერებამ მნიშვნელოვნად გაუსწრო ხელფასის ზრდას. ეკამათება რა ამხ. მოლოტოვს, ამხ. კასსიორი ამბობს, რომ თუ ამხ. პიატაკოვს და სხვებს არ აქვთ ამჟამად კონკრეტული სისტემა და ცალკე წინადადებები, პარტია მაინც უნდა შეუდგეს ამ საკითხის გადაჭრას და შექმნას ისეთი სისტემა, რომლის დროსაც ჩვენი მრეწველობის მოგება უნდა მოხმარდეს მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამხ. კამენევის სიტყვა.

ამხ. კამენევი აღნიშნავს, რომ პარტია ჩაყენებულია ისეთ მდგომარეობაში, რომ ჩვენ პიატაკოვის და მისი ჯგუფის შესწორებებში უნდა ვეძიოთ განსაზღვრული პოლიტიკურ-ეკონომიური ხაზი. ორი თვის განმავლობაში ჩვენ ვკამათობდით „დემოკრატიის" ირგვლივ. არასოდეს ბოლშევიკებისათვის დემოკრატია, შინაპარტიული დემოკრატიაც კი არ შეადგენდა თვით მიზანს. ჩვენთვის ეს არის პირველ ყოვლისა—საშუალება განვიხილოთ პარტიული პოლიტიკის მთავარი საკითხები. როდესაც გამოქვეყნდა ცეკას რეზოლიუცია ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ, მაშინ ამხ. პიატაკოვმა—ცეკას და მთავრობის წევრმა—და მისმა ჯგუფმა, რომელიც ყველაზე პასუხისმგებელ ამხანაგებისაგან შესდგება, 3 თვის წინად წარმოადგინეს ბრალდება იმაში, რომ ცეკას პოლიტიკას მეურნეობის დარგში დაღუპვისაკენ მივყავართო. პარტია ავად იყო 3 თვის განმავლობაში.

ცეკამ წარუდგინა პარტიას თავის პოლიტიკის შედეგები. მის რეზოლიუციაში აღნიშნულია ის ხაზი, რომლითაც ის მომავალში წავა. პიატაკოვის ჯგუფი გამოცხადდა რაღაც შესწორებებით, როცა მათ გამოაქვეყნეს თავისი განცხადება იმის შესახებ, რომ ჩვენ დაღუპვისაკენ მივყავართ ამ პოლიტიკას, როდესაც მათ დაგზავნეს ეს განცხადება იაჩეიკებში და როცა იგი გავრცელდა დაბალ საფეხურის საგარნიზონო იაჩეიკებში, როცა ამ იაჩეიკებში ალაპარაკდენ: „ცეკამ, არა თუ ვერ შეამჩნია, იგი თვით არის დამნაშავე კრიზისის შექმნაში, ცეკამ ჯიბის გასქელების საშუალება მისცა „ნეპმანსო",—ეს იყო უკვე ნამდვილი საფრთხე.

მაგრამ საკმარისი იყო მცირეოდენი წინააღმდეგობა, რომ პიატაკოვი და მისი ჯგუფი ჩირგვებს ამოეფარებოდა და ვერ გაებედა ეთქვა მუშებისა და წითელ არმიელებისათვის, რომლებმაც მათ დაუჯერეს, რომ ეს ბრალდებები სწორი არ აღმოჩნდენ. ეს არის ოპოზიციის პოლიტიკური შეცდომა და გაკოტრება. ისინი ამტკიცებენ, რომ ჩვენ ნათლად არა გვაქვს წარმოდგენილი ბრძოლა სოციალისტურ და ახალ ეკონომიურ პოლიტიკის სტიქიათა შორის. ეს ბავშვობაა. 3 წლის წინად, როცა ჩვენ შემოვიღეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, სწორედ ამას აღვნიშნავდით ჩვენ. 3 წლის შემდეგ მოდიან და უნდათ პარტია გადაიყვანონ მოსამზადებელ კლასში, გამოსთქვამენ რა ანბანურ ჭეშმარიტებას. კრიზისის დროს ჩვენ შევისწავლეთ, რომ მრეწველობა, რომელსაც მიაღწია ომის წინა დროის 35 პროცენტს, მიადგა გლეხის ბაზრის მსყიდველობითი უნარიანობის უქონლობას, როცა არ მოიპოვება უცხოეთის ბაზა და ვერც ქალაქი ასრულებს იმ ბაზის მაგიერობას, რომლის დროსაც მრეწველობას შეუძლია განვითარდეს. ჯერ კიდევ კრიზისამდე ლენინი სწერდა ორ კლასის—მუშების და გლეხების თანამშრომლობაზე: ეხლა ამ თანამშრომლობაში განსაზღვრულ პირობებში დაშვებულია „ნეპმანებიც". პრეობრაჟენსკი ილაშქრებს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის წინააღმდეგ, კრასინი აცხადებს, რომ ჩვენ საკმაოდ ვერ მოვიზიდეთ უცხოეთის კაპიტალი, საკმარისად ვერ განვავითარეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, მაგრამ საერთო მათ შორის არის პანიკა, არადაჯერება იმისა, რომ სოციალისტური მეურნეობის ელემენტები მართლაც იზრდებიან ჩვენს გაძარცულ საბჭოთა რუსეთში. პიატაკოვი ამტკიცებს, რომ ჩვენში სოციალისტურ მეურნეობის ჩანასახები, როცა მთელი მრეწველობა, ტრანსპორტი, საგარეო ვაჭრობა, ნაციონალიზაციაქმნილი მიწა, საკრედიტო სისტემა ჩვენს ხელშია—არის სრული პოლიტიკური გაკოტრება და ცხოველმყოფელი ძალის უქონლობა კოოპერაციის, სახელმწიფო ვაჭრობის გაძლიერება, მათი სამოქმედო ასპარეზის გაფართოება არის სოციალისტურ მეურნეობის სფეროს გაფართოება. კერძო შუამავლის, შემყიდველის და მოვაჭრის პოზიციის განმტკიცება არის ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ურთიერთობის სფეროს გაფართოება. პიატაკოვის და პრეობრაჟენსკის ცდა შეაშინონ პარტია, რომ კერძო კაპიტალის შემოტევა ასამარებს სოციალიზმს, უნდა იქნას დაგმობილი. ჩვენ ვიცით, მოიპოვებიან კარგი ცხენოსნები და გვეშინია მათი გლეხის გაძვალტყავებულ ცხენზე შეჯენა, რომელზედაც ჩვენ ვზივართ; ამ ცხენს სულს ამოართმევენ—ურემს გატეხავენ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ პიატაკოვს ექნებოდა რაიმე გეგმა, მაგრამ მისი გეგმა გამოიხატა იმაში, რომ შრომის და თავდაცვის საბჭო ცუდათ მუშაობს. ჩვენ ვამბობთ, რომ ომის წინა დღის 35 პროცენტამდე განვითარებულ მრეწველობას არ შეუძლია დაეყრდნოს გლეხის ბაზარზე და ამიტომ საჭიროა ფასების დაკლება, იაფად გაყიდვა, უნდა გაჰყიდო ისე, რომ გლეხმა შესძლოს ყიდვა. ჩვენ ვერ შევძელით ამისი გახორციელება აგრარულ ქვეყანაში. ლენინმა სთქვა, რომ კომუნისტის მორიგი ამოცანაა შეისწავლოს ვაჭრობა. კრიზისი შეიქნა იმის გამო, რომ ჩვენ ვაჭრობა ვერ მოვახერხეთ. პრეობრაჟენსკი და პიატაკოვი ლაპარაკობენ, რომ ნეპმანი ჯიბეს ისქელებს ჩვენ ეს ვიცოდით, როცა ახალი ეკონომიურ პოლიტიკის შემოღებას ვაპირობდით გლეხის წარმოება იძლევა 3 მილიარდ მანეთს, ჩვენი მრეწველობა 2 მილიარდს. ეს 3 მილიარდი ტრიალებს თავისუფალ ბაზრის კერძო კონკურენციის პირობებში. ჩვენ ვამბობთ: „გააძლიერე სახელმწიფო ვაჭრობის, კოოპერაციის და მრეწველობის პოზიცია, განდევნე კერძო კაპიტალი და დაიპყარი კერძო ბაზარი".

„წუმწუმა".

ეყრდნობა რა დეიჩმანის წიგნს „კოოპერაცია სოფლად", ამხ კამენევი ხატავს სურათს თუ როგორ მიდის ქარხნიდან წუმწუმა სოფლისაკენ შუამავლის საშუალებით. რაც ფაბრიკას უჯდება 100, გლეხი იღებს 527 ში წუმწუმა დეკლარაციებიდან ეკონომიკაში გადავიდა პოლიტიკაში და პოლიტიკურ პრობლემათ გადაიქცა.

ამას ვერ ხედავენ პიატაკოვი და მისი ჯგუფი.

ჩვენ ვამბობთ: „აღადგინეთ ძირითადი კაპიტალი ისე, რომ გლეხმა არ დაიკრიფოს ხელები გულზე და არ სთქვას: კომუნისტები ცუდათ აწყობენ მეურნეობას, კერძო კაპიტალი კი—კარგათ".

პიატაკოვის შესწორება არ ვარგა.

თუ ჩვენ მივიღებთ პიატაკოვის შესწორებას და გლეხს მივცემთ უცხოეთის იაფ საქონელს, ამით ჩვენ მოვაწყობთ კავშირს გლეხობის ზედაფენებსა და უცხოეთის კაპიტალისტებს შორის.

ფასების დაკლების პოლიტიკით ჩვენ ვაჩვენებთ გლეხს, რომ ჩვენ, კომუნისტები, ვსწავლობთ და გვსურს ვისწავლოთ როგორ მივაწოდოთ მათ იაფი საქონელი.

პიატაკოვი ამბობს: „ფასებს ნუ უკლებთ. შემოიტანეთ უცხოეთის საქონელი, მოაწყვეთ კავშირი უცხოეთის კაპიტალისტთან".

ამხ კამენევი უჩვენებს ექსპორტისა და იმპორტის ციფრებს.

„ჩვენ მხოლოდ დავიწყეთ მცირეოდენი დაგროვება და შევწყვიტეთ მოსახმარი საგნების შემოტანა უცხოეთიდან. ჩვენ გვაფრთხილებენ: „ნუ მიბაძავთ ვიტტეს"

რას ამბობს რეზოლიუცია.

რეზოლიუცია გარკვევით ამბობს: გატარებული უნდა იქნას მთავარ სამეურნეო პრობლემებთან დაკავშირებული საექსპორტო იმპორტო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სავაჭრო ბალანსს და საბჭოთა მრეწველობას იაფი ნედლი მასალით ეს ნიშნავს: საგარეო ვაჭრობის გამოყენებას იმისათვის, რომ არ შემოვიტანოთ ის, რასაც ვამზადებთ თვით ჩვენ, სასოფლო სამეურნეო მანქანების და იარაღების შემოტანის უზრუნველყოფას, ამ იმპორტის დაფარვას პურის ხე-ტყის და ნავთის ექსპორტით ისე კი, რომ ექსპორტი და იმპორტი სწარმოებდეს იმგვარათ, რომ განსხვავება გვრჩებოდეს ჩვენ, რადგან მოსალოდნელია მოუსავლობა და ომი.

უნდა გატარდეს სავალიუტო რეფორმა—ამისათვის კი საჭიროა გვქონდეს ზოგი რამ.

ერთი რეზოლიუციის გამო.

ამხ. კამენევს მოჰყავს ამხ. პრეობრაჟენსკის და საპრონოვის რეზოლიუცია, რომელიც მიიღო საალმშენებლო მუშების უჯრედის კრებამ. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ც. კ. პოლიტიკა ხელს უწყობდა სამეურნეო კრიზისის გაძლიერებას, კერძო კაპიტალის დაუბრკოლებლივ ზრდას სოციალისტური დაგროვების ხარჯზე.

როცა ამას ეუბნებიან მუშებს, შემდეგ კი მოდიან უბადრუკი შესწორებებით, როცა პირველათ აბრალებენ ცენტრალურ კომიტეტს, რომ მან ქვეყანა დაღუპვამდი მიიყვანა, შემდეგ კი აცხადებენ, რომ ცენტრალური კომიტეტის ხაზი სწორია—განა შეიძლება ეს გამოსვლები ჩაითვალოს იდეურ, მარქსისტულ გამოსვლებათ? ისინი არყევენ პარტიის ავტორიტეტს და მის ხაზს ეკონომიკაში. დაწვრილებით ვარკვევთ რა ოპოზიციის ხაზს, ვამტკიცებთ, რომ მასში არ არის არავითარი იდეური რამეს მსგავსი, არავითარი დებულებები, რომლებითაც შესაძლებელია პარტიის შეცდომების გასწორება (მხურვალე ტაში).

ამხ ლარინის სიტყვა.

ამხ. ლარინი აღნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს სოფლის პოლიტიკური ზრდა, რომელიც გამოიხატება გლეხობის მეტ აქტივობაში, გლეხობის სურვილში ჩაერიოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გაატაროს თავისი ხაზი.

პოლიტიკური ზრდის პროცესში მყოფი გლეხობის მასის მოწოლამ დააფრთხო ამხ. პრეობრაჟენსკი. ამით აიხსნება იმ ჯგუფების სოციალური შემადგენლობა, რომლებიც მხარს უჭერენ ოპოზიციას, რომლის რეზოლიუციებს საბჭოთა უჯრედებში იღებენ უმთავრესად მოხელეები, წითელარმიელთა უჯრედებში — უმთავრესად გლეხური ელემენტი და უმაღლესი სასწავლებლების უჯრედებში, რომლებშიც მუშები წლეულს მიღებულია მხოლოდ 25 პროც.

ამხ. პრეობრაჟენსკის, ოსინსკის და პიატაკოვის გარშემო თავს იკრებენ ისეთი ელემენტები, რომლებიც სოციალურად არ არიან დაკავშირებული მცხოვრებთა პროლეტარულ ნაწილთან.

ამხ სმირნოვის სიტყვა.

ამხ ვლადიმერ სმირნოვი აცხადებს, რომ ოპოზიციას სურს შინაპარტიული დემოკრატია არა იმიტომ, რომ პარტიის შიგნით გაატარონ განსაკუთრებული ხაზი, არამედ იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ სწორი პარტიული ხაზის გატარება პარტიის შიგნით.

მე-12 ყრილობამ ხაზი გაუსვა გეგმიანობის გატარების აუცილებლობას სამეურნეო ცხოვრებაში

ც. კ. რეზოლიუცია, რომელსაც ჩვენ ახლა ვარჩევთ შედგენილია აწინდელი კრიზისის ზეგავლენით და არ იძლევა მის კონკრეტულ ანალიზს.

მტკიცედ უნდა შევითვისოთ განსხვავება კითხვებს შორის: კრიზისის და „მაკრატლის" შესახებ.

ეს ორი სხვადასხვა საკითხია. განსხვავება ფასებში სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქტებს შორის ასე ადვილათ არ იქნება აღმოფხვრილი.

კრიზისი პირდაპირი შედეგია ჩვენი უსისტემო და შეუთანხმებელი სამეურნეო მუშაობის. ამხ. სოკოლნიკოვი აღნიშნავს, რომ ამხ. პრეობრაჟენსკი, როგორც სჩანს, არ იცნობს ჩვენი ფინანსიური პოლიტიკის საფუძვლებს. მე 11 ე ყრილობის რეზოლიუციამ გამოარკვია ჩვენი ფინანსიური პოლიტიკა. რეზოლიუციაში არ არის ამოცანათ დასმული ოქროს ტრიალის სისტემაზე სასწრაფოდ გადასვლა, მაგრამ საჭიროდ არის აღიარებული ფულების ოქროთი უზრუნველყოფისაკენ დაბრუნება. ჩვენ ამოცანათ დავისახეთ: განუმტკიცებელ ფულების მაგიერ, შემოვიღოთ ოქროთ უზრუნველყოფილი ფულის სისტემა.

ამხ. პრეობრაჟენსკის ეს არ ესმის. ჩერვონეცის გამოშვების და ყველა

ფასების, გადასახადების, რკინისგზის ფასების ჩერვონეცის ანგარიშზე გადასვლით, ჩვენ გადავდივართ, ოქროს საფუძველზე განმტკიცებულ სახაზინო ფულების შემოღების სტადიაში. თუ პრეობრაჟენსკი დააშინებს პარტიას და მისი საშუალებით მუშათა კლასს, მაშინ გაცილებით უფრო ძნელი იქნება განხორციელება ამ ამოცანის, რომელიც დასახული აქვს პარტიას. რეფორმის შემოღება ქმნის სავალიუტო ხიდს ქალაქსა და სოფელს შორის და იძლევა შესაძლებლობას საგლეხო მეურნეობის ქალაქთან დაკავშირებისათვის. ამხ. პიატაკოვს და სხვებს არ ესმით რომ ჩვენ ეხლა ვსწყვეტთ საკითხს, მთელი ჩვენი სამეურნეო მუშაობის საერთო მიმართულების შესახებ, თუ როგორ დავაყენოთ ჩვენი ვაჭრობის და მრეწველობის დაწყებული განვითარების საქმე. ჩვენ ყველა განვიცდით საქონლის სიმცირეს (დამახინჯებულია)... მუშები და გლეხები, რომლებიც ომის და ბლოკადის დროს არაფერს არ ღებულობდენ, მზად იქნებიან ყოველგვარი ფასი გადაიხადონ მრეწველობა სტიქიურად დაადგა ამ ხაზს. ამაშია შეცდომა. ჩვენ თუ ასე გამოვიყენებდით ბაზრის კონიუნქტურას და გადვიქცეოდით სპეკულიატიურ-სამეურნეო ორგანიზაციათ, ჩვენ გადაუხვევდით მეურნეობის მოწესრიგების საქმეს, რომელიც იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ სახელმწიფო მეურნეობამ დააკმაყოფილოს მუშების და გლეხების მოთხოვნილება საქონელზე. მხოლოდ ასეთ პირობებში დაუმტკიცებთ ჩვენ მუშებს და გლეხებს, რომ სოციალისტური მეურნეობა განირჩევა სპეკულიატიურისაგან. საგარეო ვაჭრობის დარგშიაც ჩვენ სწორეთ ასეთი ამოცანა უნდა დავისახოთ: საგარეო ვაჭრობის მონოპოლია არა უდიდესი მოგების მისაღებათ,—რაც იქნებოდა სახალხო მეურნეობის საფუძვლის კაპიტალისტურათ გადამახინჯება, ვინაიდან ამაშია მიზეზი „მაკრატლის“ მსოფლიო ბაზრის პირობებში, მიზეზი, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ. ამხ. კრასინი ლაპარაკობს, რომ სახელმწიფო მრეწველობის განვითარების პერსპექტივები ვერ არის დამაკმაყოფილებელიო, მაგრამ კრასინი სცდება, რადგანაც უცხოეთის კაპიტალის გარდა სხვა გზებიც არის ჩვენი მეურნეობის განვითარებისათვის. ჩვენ უნდა შევეცადოთ საგლეხო მეურნეობის განვითარებას, ვინაიდან მასთან ერთად გაფართოვდება ჩვენი მრეწველობაც. ჩვენი განმტკიცების მიხედვით ჩვენ მეტი შესაძლებლობა გვეძლევა უფრო ხელსაყრელ პირობებში მივიზიდოთ უცხოეთის კაპიტალი, მაგრამ ჩვენ გული არ უნდა გავიტეხოთ, არ უნდა ვიფიქროთ, როგორც პიატაკოვი ფიქრობს, რომ ჩვენი ხსნა ბიუროკრატიულ გეგმაშია, არ უნდა ვიფიქროთ ისე, როგორც კრასინი ფიქრობს, რომ ხსნა იმაშია, თუ ჩვენ გვიშველის უცხოეთის კაპიტალი. ცეკას მიერ აღებული ხაზი სწორია, ჩვენც ამ გზით უნდა წავიდეთ.

შემდეგ ქვეყნდება იტალიის კომუნისტური პარტიის მისასალმებელი დეპეშა.

საღამოს სხდომაზე გრძელდება კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების შესახებ... მიკოიანი აღნიშნავს, რომ პარტიის პოლიტიკის გადასინჯვის ცდას და ოპოზიციის პანიკურ ტონს აქვს თავისი ფესვები გერმანიის რევოლიუციის დამარცხებაში და ჩვენი ძალების იმედის უქონლობაში.

თუ რომ ცეკას ასეთ პირობებში იქნებოდა გეგმა, ეს იქნებოდა პიატაკოვის ქაღალდის გეგმა, რომელიც შეაფერხებდა მეურნეობის აღდგენას. წინააღმდეგობა შინაპარტიული დემოკრატიის და ბიუროკრატიულ ცენტრალიზმს შორის ნათელია. ბრძოლა „მაკრატელთან“, კავშირი სოფელთან, შეუძლებელია მანამდე, სანამ არ იქნება მტკიცე ფულის ნიშანი. ფულის რეფორმის წინააღმდეგ გამოსული ამტკიცებს მხოლოდ მის უნიადაგობას. საჭიროა გვქონდეს რევოლიუციონური პერსპექტივები, უნდა გავიგოთ საით მივდივართ. (კამათი ხმების უმრავლესობით წყდება. სიტყვა ეძლევა ამხ. რიკოვს, რომელიც თავის დროის ნაწილს უთმობს პიატაკოვს).

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

გერმანიის მუშების ბრძოლა

მუშების ბრძოლა გრძელდება

ბრძოლა სასტიკ ხასიათს იღებს.

ბერლინი 6 იანვარი. ორი კვირის განმავლობაში რეინის ვესტფალიაში საშინელ პირობებში სწარმოებს ბრძოლა სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ და ქარხნების გახსნისათვის, რომ სამუშაო მიეცეს უმუშევრებს.

მეტინგენის და დიუსსელდორფის ოლქებში გაფიცვა გამოაცხადეს ყველა წარმოებების მუშებმა, გარდა კრუპის ქარხნისა, სადაც 8 საათის სამუშაო დღე ჯერ კიდევ არ არის გაუქმებული.

ზოლინგენში გაფიცვას შეუერთდა მუშების 90 პროც. რეიმშეიდში და ველდში 70 პროც. კრეფელდში და დორნგაგენში გაფიცულია ყველა მუშები. ბარმენში მეტალისტთა კავშირის ადგილობრივ კომიტეტების კონფერენციამ, იმის გამო, რომ მუშები უნდობლობით ეპყრობიან პროფკავშირების ბიუროკრატიას, დაადგინა გადასცეს გაფიცვის ხელმძღვანელობა ფაბრიკების და ქარხნების საგაფიცვო კომისიას.

დიუსსელდორფის მუშების კონფერენციამ მოწოდებით მიმართა საფრანგეთის კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიებს და შრომის საერთაშორისო კონფერენციას, რომელშიაც სთხოვს დახმარება გაუწიონ გერმანიის მუშებს, რომელთა ბრძოლას საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. მოწოდება აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის მუშები დამარცხებული იქნებიან მაშინ 8 საათის სამუშაო დღე გაუქმებული იქნება საფრანგეთშიც.

დეპუტატების კრებებმა გაგენში, გასპში და გეფილტოფში გაფიცულთა სასარგებლოდ შეაგროვეს 350 ოქროს მარკა. მეტალისტთა ქრისტიანულმა კავშირმა გამოაქვეყნა მოწოდება საერთო გაფიცვის წინააღმდეგ; ის აცხადებს, რომ საერთო გაფიცვა ამ ჟამათ არის „საერთო სიგიჟე“ და 10 საათის სამუშაო დღე აუცილებელია. მიუხედავად ამ მოწოდებისა, ქრისტიანულ კავშირის წევრთა უმრავლესობა მაინც მონაწილეობას იღებს გაფიცვაში.

ბრემენში.

ბერლინი. 16 იან. ბრემენში დაითხოვეს 3.000 მუშა, რომლებმაც უარი სთქვეს 12 საათის სამუშაო დღის შემოღებაზე. ხის დამმუშავებელმა მუშებმა დაადგინეს პასიური წინააღმდეგობა გაუწიონ 10 საათის სამუშაო დღეს. ქალაქის საბჭომ მიიღო კომუნისტების წინადადება მოხელეების სამუშაო დროის გადიდების წინააღმდეგ.

გერმანიის საერთო მდგომარეობა

კარის გაკრიტიკება.

ბერლინი. 16 იანვარი. ბავარიის ლანდტაგის კონსტიტუციონურ კომისიის სხდომაზე იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა და ტევტონურ პარტიის წევრმა როტმა ბრალი დასდო კარს იმაში, რომ მან ციხეში დამწყვდევის მეტათ მკაცრი პირობების შემოღებით ხელი შეუწყო გაზეთ „ფოლკიშერ ბეობახტერი“-ს რედაქტორობის დიტრიხის დი ერხარდტის სიკვდილს. როტმა განაცხადა, რომ კარს არ შეუძლია მოწმეთ გამოვიდეს ჰიტლერის პროცესში, რადგან პროცესს შეუძლია თვით კარი ბრალდებულთა სკამზე მიიყვანოს.

იმავე სხდომაზე გამოსულმა კომუნისტ-დეპუტატმა ანდერლემ გაჰკიცხა ბავარიაში შემოღებული დამწყვდევის წინასწარი პირობები, და ხაზი გაუსვა იმას, რომ კომპარტიის აკრძალვის დროიდან, მარტო მიუნხენში დატუსაღებულია და ციხეში იტანჯება 30 კომუნისტი.

სეპარატისტების საპასუხოდ

ბერლინი. 17 იანვარი. მანჰეიმში ჩავიდა ინგლისის გენერალური ელჩი მიუნხენში—კლაივი, რომელმაც მოლაპარაკება უნდა აწარმოოს პფალცის ოლქის პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებთან. მოხსენების გასაკეთებლათ პფალცის მდგომარეობის შესახებ მოკავშირეთა. რეინის კომისიამ გამოიწვია საფრანგეთის გენერალი დე მეტცა, რომელიც მხარს უჭერს სეპარატისტებს.

გეინც-ორბისის მოკვლის შემდეგ პფალცის სეპარატისტულ მთავრობას სათავეში ჩაუდგა სეპარატისტების ლიდერი კუნი; გერმანიის პრესის ცნობების თანახმათ, კუნი პასუხისგებაში იყო მიცემული ჯაშუშობისათვის. სეპარატისტულმა მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც გაფრთხილებას იძლევა იმის შესახებ, რომ მთავრობის თვითეულ წევრზე ან მოხელეზე თავდასხმისათვის პასუხს აგებენ 5 ცნობილი მოქალაქე.

გერმანიის ამბების გამოძახილი

მოკავშირეების ძალდატანება.

ბერლინი. 16 იანვ. საფრანგეთის და ბელგიის საოკუპაციო ხელისუფლება ძალდატანებას სდებს მუშებზე იმ მიზნით, რომ აიძულოს ისინი დაიწყონ მუშაობა იმ რაიონებში, სადაც გაფიცვა სწარმოებს. რეინგაუზენში საოკუპაციო ხელისუფლებამ დაატუსაღა ადგილობრივი საგაფიცვო კომიტეტი. დიუსსელდორფში აკრძალეს კომუნისტური ორგანო „ფრეიხეიტ“-ი; აკრძალულია აგრეთვე კელნის კომუნისტური ორგანო „სოციალისტიშე რესპუბლიკ“.

ინგლისი „მუშათა მთავრობის“ მოლოდინში

პარლამენტის გახსნის გარშემო: მეფის სიტყვის გარშემო გამართულ კამათში მაკდონალდმა და ასკვიტმა აღნიშნეს, რომ სეფე-სიტყვა უხეირო განმეორებაა ლიბერალურ და მუშათა პარტიების პროგრამისა.

ინგლისის საერთო მდგომარეობა: რეაქციონერები ცდილობენ დააშინონ საზოგადოებრივი აზრი „წითელი საშიშროებით“ და ინგლისში რევოლიუციის აუცილებლობით.

მთავრობის საპასუხოდ: მუშათა პარტიამ თემთა პალატაში შეიტანა დამატება მეფისადმი მიმართვაში. დამატების მიღების შემდეგ მთავრობა უნდა გადადგეს.

ასკვიტმა განაცხადა, რომ მუშათა პარტიის დამატება სავსებით მისაღებიაო.

პარლამენტის გახსნის გარშემო

კამათი სეფე სიტყვის შესახებ

ლონდონი. 16 იანვ. სეფე-სიტყვის შესახებ გამართულ კამათში მთავრობის მომხრეები მეტად პასიურად გამოდიოდენ. მაკდონალდმა და ლოიდ-ჯორჯმა აღნიშნეს, რომ სეფე-სიტყვის პროგრამა უხეიროთ არის შედგენილი მუშათა და ლიბერალური პარტიების პროგრამების ცალკე მუხლებიდან. ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ სეფე სიტყვა ატარებს, „იმ საარჩევნო მანიფესტის ხასიათს, რომელიც გამოქვეყნდა არჩევნების შემდეგ“. განსაკუთრებულ ყურადღებას ის აქცევს გერმანიის საკითხს და აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობა უნდა ერკვეოდეს გერმანიის მრეწველების და საფრანგეთის მთავრობის მოლაპარაკებაში. ლოიდ ჯორჯმა აღნიშნა, რომ ფრანგების მიერ რეინის ოლქის ანექსია ყოველგვარ იმედს სპობს ევროპაში მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების შესახებ; ლოიდ-ჯორჯმა სასტიკად გააკრიტიკა საფრანგეთის პოლიტიკა სეპარატისტების მიმართ.

საპასუხო სიტყვაში ბალდვინი დაეთანხმა ოპოზიციის შენიშვნას საგარეო პოლიტიკის საკითხში; მან განაცხადა, რომ კონსერვატიული პარტია, პალატის უმრავლესობის მიერ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში, მზად არის უარი სთქვას ხელისუფლებაზე და მხარი დაუჭიროს მომავალ მთავრობას.

კამათი ლორდთა პალატაში

ლონდონი. 16 იანვ. ლორდთა პალატაში გამართულ კამათის დროს ლორდ გრეიმ განაცხადა, რომ მას სრულებით არ ეშინია მუშათა მთავრობის შექმნის, რადგანაც მუშათა მთავრობის საგარეო პოლიტიკა საგრძნობით ეთანხმება ლიბერალების პროგრამას.

საპასუხო სიტყვაში კერზონმა ილაპარაკა ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკების, მაგარი სასმელების კონტრაბანდის და საბერძნეთთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლების შესახებ. კერზონმა განაცხადა, რომ ავღანისტანის მთავრობამ სისწორით უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობანი და უნდა დასაჯოს ის ბანდები, რომლებიც მოქმედობენ ინდოეთ-ავღანისტანის საზღვარზე. კერზონმა განაცხადა, რომ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ავღანისტანის საკითხი მშვიდობიანი გზით იქნება გადაჭრილი, თუმცაღა ის დიდი ნდობით არ უცქერის ავღანისტანს. თუ მუშათა მთავრობა, სთქვა მან—გაატარებს ინგლისის [illegible] და [illegible] შეთანხმებულ პოლიტიკას, კონსერვატორები მას არ გაუწევენ წინააღმდეგობას. თუ მუშათა მთავრობა შეეცდება იმ პრინციპების გატარებას, რომლებიც აღნიშნული იყო მუშათა პარტიის ზოგიერთ გამოჩენილ წევრთა სიტყვაში, მაშინ ლორდთა პალატა მოიგონებს იმ პრინციპების დაცვის მოვალეობას, რომლებიც საფუძვლად უდევს ინგლისის საზოგადოებას.

მთავრობის საპასუხოდ

მუშათა პარტიის დამატება მეფისადმი მიმართვაში.

ლონდონი. 17 იანვ. დღეს კლაინსმა შეიტანა თემთა პალატაში დამატება მეფისადმი მიმართვაში. ფიქრობენ, რომ ამ დამატების მიღების შემდეგ ბალდვინის კაბინეტი გადადგება.

კლაინსის სიტყვა

ლონდონი. 18 იანვ. თავის სიტყვაში თემთა პალატაში კლაინსმა აღნიშნა, რომ არჩევნების დროს მთავრობამ არ მიიღო საჭირო ზომები უმუშევართა საკითხის გადასაჭრელად.

შეეხო რა საგარეო პოლიტიკას, კლაინსმა საჭიროდ აღიარა ბრიტანეთის ძლიერების და ბრიტანეთის გავლენის ბრძნულად და ენერგიულად გამოყენება.

„მსხვერპლი, რომელიც გავიღეთ ჩვენ,—სთქვა კლაინსმა,—საშუალებას გვაძლევს გადამწყვეტი როლი ვითამაშოთ უცხოეთის საქმეების მოწყობაში.

როცა საფრანგეთი საჭიროებდა ინგლისის სამხედრო დახმარებას და ითხოვდა მას, ეს დახმარება, მიმართული გერმანიის წინააღმდეგ, ჩვენ საჩქაროდ აღმოუჩინეთ მას და ჩვენი ახლანდელი მოთხოვნილება, მოკავშირის უპირატესობა იშვიდობიან პოლიტიკაში, გამართლებულია, ჩვენ მიერ გაღებული მსხვერპლით და გულწრფელი სურვილით უზრუნველყოფილი იქნეს თვით საფრანგეთის უშიშროება მომავალში.

საფრანგეთი ძვირფასია ჩვენთვის, ის ჩვენი ახლობელი ძლიერი მეზობელი და მეგობარია, და ჩვენ ვიბრძოდით მასთან ერთად და მისთვის. დიდი ომი უნდა შეიქნეს დიდი დაბოლოვების საშუალება.

ასეთი დაბოლოვება მოითხოვს ევროპაში მშვიდობიანობის და მეგობრობის დამყარებას, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიისა და საფრანგეთს შორის მშვიდობიანობა დამყარდება.

გერმანიისადმი ახლა იმაზე უარესად მოპყრობა, ვიდრე 60 წლის წინად ის მოეპყრა საფრანგეთს, ეს ნიშნავს ნიადაგის მომზადებას ახალი, უფრო საშინელი ომისათვის.

ჩვენ არ შეგვიძლია მეტი ლოდინი და მეთვალყურის როლის ასრულება.

ჩვენი მოქმედება მიმართული უნდა იქნას იქითკენ, რომ ნამდვილათ და სწორათ იქნას გადაჭრილი ევროპის პრობლემები ისე კი, რომ დიდი ბრიტანეთის მიერ დამსახურებული უფლებები და მისი გავლენა დაცული იქნას.

შეეხო რა საიმპერიო კონფერენციის, რეზოლიუციებს კლაინსმა სთქვა: „თემთა პალატამ უნდა გადასწყვიტოს, თუ რა ფარგლებამდი უნდა იქნას გაფართოებული ჩვენი ვაჭრობა ახალშენებთან გადასახადების გადამხდელთა დამატებით დაუმძიმებლად და ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის მთავარი პრინციპების დაურღვევლად“.

ასკვიტის სიტყვა

ლონდონი. 18 იანვარი, ასკვიტმა განაცხადა, რომ მისი სიტყვა იქნება მოკლე. ის ფიქრობს და ამასვე ურჩევს თავის მეგობრებს მხარი დაუჭირონ მუშათა პარტიის დამატებას, რომელიც წარმოადგენს გარკვეულ და ნათელ მოთხოვნას ახლანდელი მთავრობისაგან, რათა მან დაიმსახუროს ნდობა.

შეიძლება არსებობდეს მრავალი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რათ შესდგა ასეთი საოცარი შეფარდება ძალებს შორის პალატაში, მაგრამ ერთი აზრი კი ვერ უძლებს კრიტიკის ქარცეცხლს—სახელდობრ ის, თითქო ისინი არჩეული იქნენ ახლანდელი მთავრობისათვის მხარის დასაჭერად

სრულიად ნათელია, რომ როცა არსებული მთავრობა გადადგება, რომ პარტია, რომელიც ბუნებრივად და სამართლიანად აიღებს ძალაუფლებას, იქნება ის, რომელიც მეთაურობს ოპოზიციას. სამი დამოუკიდებელი და შეკავშირებული პარტიის ახლანდელი მდგომარეობა, არ ახსოვს მსგავსი ისტორიაში.

მაგრამ ერთი რამ ნათელია: ახლანდელ პირობებში მუშათა პარტიას აქვს აბსოლიუტური და უდავო უფლება აიღოს ხელში ძალაუფლება. ეს ნიშნავს, რომ ძალაუფლება პირველათ გადადის სოციალისტური პარტიის ხელში.

ინგლისის საერთო მდგომარეობა

„წითელი საფრთხის“ შიში.

ლონდონი. 16 იანვარი. რეაქციონერები ცდილობენ საზოგადოებრივი აზრის დაშინებას „წითელი საფრთხით“, წინასწარმეტყველობენ რევოლიუციას ინგლისში და მოითხოვენ გადაუდებლად ბრძოლას რევოლიუციის საფრთხის წინააღმდეგ.

ცნობილმა ინგლისელმა კლერიკალმა ინჯმა განაცხადა: რევოლიუცია გადამდები სენია. ამ სენით შეპყრობილები უნდა მოვსპოთ, როგორც ცოფიანი ძაღლები“.

საკითხი რკინისგზელთა გაფიცვის შესახებ.

ლონდონი. 16 იანვარი. ჰენდერსონს თათბირი ჰქონდა მემანქანეების კავშირის აღმასკომის წევრებთან, რომლის შემდეგ გაიმართა გაერთიანებული სხდომა უკანასკნელების რკინის გზის კომპანიების და რკინისგზელთა კავშირის წარმომადგენლებთან ერთად. მუშათა პარტიის ხელმძღვანელ წრეებში ფიქრობენ, რომ გაფიცვა რკინის გზაზე არ არის მოსალოდნელი.

გერმანელ მეზღვაურების გაფიცვა.

ლონდონი. 16 იანვარი. გაფიცულ გემების გერმანელი მოსამსახურეები. ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა მიმართა გემების ყველა გერმანელ მოსამსახურეებს, რომლებიც იმყოფებიან ინგლისის ნავთსადგურებში, მოწოდებით გაფიცვასთან შეერთების შესახებ.

სხვადასხვა

ინდოეთი

ნაციონალისტების გამარჯვება.

ლონდონი. 17 იანვარი. ინდოეთიდან იუწყებიან, რომ ცენტრალურ პროვინციათა საბჭოში ნაციონალისტებს ერგოთ 49 ადგილი 70—დან. ფიქრობენ, რომ ნაციონალისტები ყოველთვის ხელს შეუშლიან საბჭოს მუშაობას, სანამ ინდოეთის მთავრობა თვითმართველობას არ მიანიჭებს მათ.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ჰოლლანდიის მუშების დახმარება გერმანიის ბავშვებს

მოსკოვი. 17 იანვარი. ამსტერდამიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ჰოლლანდიის 250 მუშათა ოჯახმა განცხადება შეიტანეს მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტში იმის შესახებ, რომ ისინი მზად არიან მიიღონ თავის ხარჯზე გერმანიის მუშების ბავშვები. გერმანელ ბავშვთა პირველი პარტია, რომელიც გაიგზავნა ჰოლლანდიაში, დანაწილებულია მუშებს შორის.

საექიმო პუნქტები მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის სასადილოებთან

მოსკოვი. 17 იანვარი. მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის ცეკამ დაადგინა გახსნას მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის სასადილოებთან გერმანიაში საექიმო პუნქტები მუშებისათვის უფასო საექიმო დახმარების აღმოჩენისათვის.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბაქოს ტრამვაი

ბაქო. 17 იანვარი. 16 იანვარს, საღამოს 5 საათზე, ბაქოს ტრამვაის პირველ მოწყობილ ქვესადგურზე მიუშვეს ელექტრონაკადი ჰაერში გაბმული მავთულის ბადის საშუალებით, რის შემდეგაც 2 ვაგონი გამოსაცდელად აამოძრავეს პარკის ეზოში. ამ დღეებში მოხდება საცდელი მოძრაობა ვაგონებისა ქალაქში.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველომ აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველოს წინადადება მისცა გამოსთქვას თავისი აზრი სატრამვაიო კომიტეტის მიერ წამოყენებულ მოსაზრების შესახებ, რათა ტრამვაის ლიანდაგი გაყვანილ იქმნას თეთრ ქალაქში, არსებულ რკინისგზის ლიანდაგამდე, სადაც გამართულია ნავთის საქაჩი აუზები. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველოსთან არსებულმა ტეხნიკურმა ბიურომ საჭიროდ სცნო თეთრ ქალაქში ტრამვაის ლიანდაგის გაყვანა მხოლოდ ახალის მიმართულებით. ამ ლიანდაგის დასაგებად უნდა ისარგებლონ არსებული რკინისგზის ლიანდაგით, რომელსაც გადაიტანენ ამ მიმართულებაზე და ნავთის საქაჩებელ აუზებს ამ ლიანდაგისაკენ გადმოიტანენ.

ნავთის ნაწარმოებთა გაზიდვა.

ბაქო. 17 იანვარი. ამ ცოტა ხანში ევროპის ბაზარზე გაიგზავნება 4.850.000 ფუთი ნავთი, 1.966 000 ფ. სამანქანო ზეთი, 2.000.000 ფ. სოლიარისა და 100.000 ფ. საბურღავის ზეთი. იმედია, რომ ახლო მომავალში ჩვენ მოვახერხებთ, რომ ოსმალეთის ბაზარზე გავიტანოთ ჩვენი ნავთის მრეწველობის 55 პროც.

სომხეთი.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ერევანი 17 იან. 15 იან. შესდგა პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს მიერ დაარსებულ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ხელის შემწყობ საზოგადოების პირველი საერთო კრება.

ქოხები სამკითხველოები.

ერევანი. 17 იანვარი. სოფ. კანაკირში, არამუსში და არზნში დაარსდა ქოხები-სამკითხველოები. ახლო მომავალში კოტაის რაიონის 10 სოფელში გახსნილი იქნება ახალი ქოხები-სამკითხველოები.

ახალი სკოლები.

ერევანი. 17 იანვარი. ბაშგიარნის რაიონში ამ ჟამად მუშაობს 8 სკოლა: 6 სომხური და 2 თათრული; ამას გარდა ახლო მომავალში აშენებული იქნება 6 ახალი სკოლის შენობა. სოფლის საზოგადოებებმა, გარდა მუშა ხელისა და სატყეო საამშენებლო მასალისა, დახარჯეს ამ ახალი სკოლების აშენებაზე 2 000 ფუთი ხორბალი. მუშაობის ბოლომდი მისაყვანათ საჭიროა 500 ფუთ. ხორბალი. რაიონში გაიხსნა ახალი ქოხები-სამკითხველოები.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობისათვის

მთავარ სახელოსნოების რეზოლიუცია

მთავარ სახელოსნოების № 1 კომუჯრედმა მიიღო პარტიის ახალი ამოცანების შესახებ, შემდეგი რეზოლიუცია:

განიხილა რა საკითხი პარტიის ახალი ამოცანების შესახებ, მთავარ სახელოსნოების კომაჩეიკამ დაადგინა:

1. ერთად ერთ სწორ გადაჭრას იმ საკითხების, რომლებიც გამომდინარეობენ თანამედროვე შინაპარტიული მდგომარეობიდან, წარმოადგენს ცეკას პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის რეზოლიუცია.

2. რ. კ. პ. ცეკას დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა სრული ნდობა რ. კ. პ. ცეკასადმი და საქართველოს კომპარტიის ცეკასადმი, შემდეგ აქტიური დახმარების გაწევა ჩვენი ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოებისათვის (რ. კ. პ. ცეკას და საქართველოს კომპარტიის ცეკასათვის) პარტიის ყველა ორგანიზაციების მიერ.

3. კრება აღნიშნავს, რომ დისკუსიის დროს თავი იჩინა პარტიის უმნიშვნელო უმცირესობის მხრივ ჯგუფების მოწყობის ცდამ, აგრეთვე შინაპარტიული დემოკრატიის და პარტიული დისკუსიის ფრაქციული და ზოგჯერ ანტიპარტიული მიზნებისათვის გამოყენების სურვილმა.

კრება საჭიროთ სთვლის პარტიის შიგნით ყველა საკითხების ფართოდ განხილვას; ამავე დროს მას აუცილებლად მიაჩნია სასტიკი ბრძოლის გაწევა ყოველგვარი ფრაქციების ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართული არიან პარტიის დაშლისა და დეზორგანიზაციისაკენ.

კრება დიდი უკმაყოფილებით აღნიშნავს ამხ. ტროცკის გამოსვლას დისკუსიის დროს და ფიქრობს, რომ პარტიისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან მომენტში საჭიროა მტკიცეთ და გარკვევით გამოთქმა საკუთარი აზრისა პარტიის ყველა წევრის და განსაკუთრებით პარტიის ხელმძღვანელების წინაშე, რათა არ იქნეს დაშვებული მერყეობა და უზრუნველყოფილი იქნეს პარტიის მთლიანობა.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(19 იანვარი)

ჩერვონცები	980,000
ანგ. ფუნტ. სტერლინგ. ეფექტ.	926,000
ჩეკები	926 000
დოლარი ეფექ.	218 000
ჩეკები	206.000
ოსმ. ქაღ. ლირა	131 000
იტალიური ლირა	9100
ფრანგული ფრანკი	10200
საბჭ. ფულის ნიშნები	15 ნახ.

მოსკოვის ფასები

(19 იანვარი)

პური 1 ხარ. 4500 ათ., პური 2 ხარ. 3500. ათ. ძროხის ხორცი—17000 ღორის ხორცი—24000 ათ. შაქარი რაფინადი — 51,700 ათ. ფხვნილი შაქარი—29,600 ათასი, ბრინჯი ალდ. 7520 ათ. კარტოფილი—1000 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(19 იანვარი).

პური 1 ხარ. —7000 ათ., პური 2 ხარ. —5000 ათასი, ძროხის ხორცი 20000 ათ. ღორის ხორ. 27000 ათ. შაქ. რაფ. 53000 ათ., შაქარი ფხვნილი 31,000 ათ., ბრინჯი ალდ.—9000 ათ., კარტოფილი 2000 ათ.

ბირჟის მიწოდება.

პემზა, მზესუმზირას ზეთი „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, „ურალმეტ“-ის პროდუქცია, ლვედები (აქლემის ტყავის), ხორბლეული, სინგაპურის პილპილი, კაკაო-ზეთი და მარცვლოვანი, პარაფინი, კვებრახის ექსტრაქტი, შვეიცარული ყველი, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, ბორჯომის ქარხნის პროდუქცია, „ცენტროსო-

იუზ“-ის ჩაი, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა ასანთი რუს., სახალხო მეურნეობის საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, სარეცხი და ტუალეტის, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ), ნოვოროსიის ცემენტი და ეტერნიტი, სალომასი, ქვა-მარილი ნახიჩ., „ხლებოპროდუქტ“-ის ნაწარმოები.

ბირჟის მოთხოვნილება

მაკარონი და ვერმიშელი 1 და 2 ხარ., ყუბანის ფქვილი, სახურავი რკინა, რკინის გასაყრელები, რელსები, ფოლადი (ფურცლოვანი), სპილენძის მილები, რკინეულობა. (ДОМ) ტეხნიკური ცხიმი, ხორბალი და პურეული, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, შაქარი რაფ. და ფხვნილი რუს., სალომასი, მზეუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი, ყუბანის საკანდიტერო ფქვილი, საშენებელი ლურსმნები, ჩაი, ასანთი რუს., მანუფაქტურა რუს, ქვამარილი ნახიჩევანის.

ოფიციალური ფასები

შაქარი რაფინადი ნატეხი—14 მ. 60 კ. (დახერხილი)—14 მ. 70 კ., ფხვნილი შაქარი—10 მ. 65კ. ფუთში ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ცხვრის ნაწლევები—70 კ. კონაში, ფრანკო-ბათომი.

ხორბლეულის ბაზრის მდგომარეობა

ხორბლეულის, მცენარეულის და ტეხნიკური ცხიმის ბაზარზე განწყობილება მტკიცეა; შაქრის ბაზარზე, [illegible] მტკიცე; [illegible] ფხვილზე—ნაკლებად; სათიქრო ნაწარმოებზე—[illegible]; რკინეულობაზე—სუსტია; მეწველის ბაზარზე გაცხოველებული.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(19 იანვარი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	980.000	60 კ.	58 800.000
2 „	1.960.000	70 „	68.600.000
3 „	2.940.000	80 „	78 400.000
4 „	3.920.000	90 „	88.200.000
5 „	4.900.000	1 მ.	98.000.000
6 „	5.880.000	2 „	196.000.000
7 „	6.860.000	3 „	294.000.000
8 „	7.840.000	4 „	392.000.000
9 „	8.820.000	5 „	490.000.000
10 „	9.800.000	6 „	588.000.000
20 „	19 600.000	7 „	686 000.000
30 „	29 400.000	8 „	784 000.000
40 „	39 200.000	9 „	882.000.0 0
50 „	49.000.000	1 ჩერ.	980.000.000

საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა თათბირი

ოთხშაბათს, 16 იანვარს, დილის 12 საათზე, მუშათა სასახლის მცირე დარბაზში გაიხსნა მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ მოწვეული სრულიად საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა თათბირი.

თათბირი გახსნა მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატის სას.-სამ. განყოფილების გამგემ გ. რცხილაძემ, რომელმაც სიტყვით მიმართა თათბირის წევრთ, სადაც მოკლედ დაახასიათა ყრილობის მოწვევის პირობები და მიზნები.

ეს თათბირი შედეგი და ერთგვარი დასრულებაა საქართველოს მევენახეობის ორ დიდ ცენტრში,—კახეთში და იმერეთში,—მომხდარ მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობებისა და წინ უსწრებს სოციალ. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის მომავალ საერთო მევენახე-მეღვინეთა ყრილობას. ამ თათბირზე უნდა გამომუშავებულ იქნას ის საჭირო ზომები და დებულებები, რომლითაც იხელმძღვანელებენ ამავე თათბირზე არჩეულნი საქართველოს წარმომადგენლები საერთო საკავშირო ყრილობაზე.

პრეზიდიუმის არჩევა.

გ. რცხილაძე ესალმება თათბირს და უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას. შემდეგ წინადადებას იძლევა პრეზიდიუმის არჩევისას.

პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულნი არიან: თავმჯდომარედ მიწათმოქმედების სახ. კომ. მოად. ვ. კანდელაკი, ამხანაგებათ ი. ანდრონიკაშვილი და ერ. წიწქიძე. პრეზიდიუმის წევრებათ ს. ჩოლოყაშვილი და გ. საყვარელიძე, მდივნებათ გ. მგალობლიშვილი და ვ. ბიბილეიშვილი.

საპატიო თავმჯდომარეებათ ერთხმად არჩეულნი არიან: ამხ. მიხა ცხაკაია, ვ. სტურუა და დამსახურებული პროფესორი პ. მელიქიშვილი.

თავმჯდომარის ადგილს იჭერს დამს. პროფ. პ. მელიქიშვილი, რომელსაც თათბირის წევრები აღტაცებული ტაშის ცემით ეგებებიან.

დღის წესრიგი:

თათბირის მუშაობის პროგრამა შემდეგია:—მოხსენებები:

1. მევენახეობა - მეღვინეობის მდგომარეობა საქართველოში, 2. კანონი ყურძნის, ჩამიჩის და ხილეულობის ღვინოებზე, 3. კანონი მიწის მფლობელობაზე მევენახეთათვის, 4 ღვინისვაჭრობის მოწესრიგება, 5. ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფო მეურნეობის და კერძო მევენახე—მეღვინეთა შორის, 6. კოოპერატიული და კოლექტიური მეურნეობა მევენახეობა — მეღვინეობის დარგში, 7. ა) ვენახებზე გადასახადი, პირდაპირი გადასახადების სისტემის საფუძველზე; ბ) სააქციზო გადასახადების საფუძვლები; გ) სახელმწიფო კრედიტი და მეურნეობის უზრუნველყოფა ფინანსებით, 8. სახელმწიფოებრივი და ურთიერთ შორის დაზღვევა ვენახებისა, 9. საბაჟო და სატრანსპორტო ტარიფები, 10. ა) საშუალებანი ყურძნის სპირტის და კონიაკის ვაჭრობის განვითარებისა, ბ) ყურძნის გადამუშავება სხვაგვარ მასალებათ და გადამუშავება მეღვინეობის ნარჩენ მასალებისა. 11. საფუძვლები სახელმწიფოებრივ მელიორაციისა მევენახე მეღვინეობის დარგში. 12. სამყნობ მასალის და ნამყენების სასურველი ორგანიზაცია მევენახეობისათვის. 13. ყურძნის და ღვინის ტრანსპორტის ტეხნიკა. 14 ა) რაიონებათ დაყოფა საქართველოს მევენახეობისა და სამრეწველო ყურძნის ჯიშების შერჩევა. ბ). სტატისტიკის საფუძვლები მევენახეობა—მეღვინეობის აღნუსხვისათვის. 15. მორიგი მეცნიერულ ტეხნიკური საკითხები მევენახეობის დარგში. 16. სამოსწავლო საქმე. 17. ცოდნის პოპულიარიზაცია მევენახეობა—მეღვინეობაში სკოლის გარეშე ზომებით; სპეციალისტების და კვალიფიციურ მუშაკთა დამზადება. 18. სპეციალური ლიტერატურის გამომცემლობის შესახებ. 19. დელეგატების არჩევნები სრულიად საბჭოთა საკავშირო მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობაზე მოსკოვში.

მევენახეობის და მეღვინეობის მდგომარეობა საქართველოში

(მომხსენებელი აგრონომი ჩოლოყაშვილი)

პირველი სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ს. ჩოლოყაშვილს: მევენახეობა-მეღვინეობის მდგომარეობის შესახებ ჩვენში.

მომხსენებელი აცნობს თათბირის წევრებს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც მევენახეობა-მეღვინეობას აქვს საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში, და ამ დარგის თანამედროვე მდგომარეობას. გაკვრით იხსენიებს იმ დამაბრკოლებელ მიზეზებს, რომლიც წინ ეღობება ამ დარგის ნორმალურ განვითარებას და საჭიროდ მიაჩნია, რათა მათ განსაკუთრებული ყურადღება ექნეთ მიქცეული, რომ მევენახეობა-მეღვინეობამ, რაც შეიძლება მტკიცედ მოიკიდოს ფეხი და მშრომელი ხალხის ეკონომიური კეთილდღეობის ფუძეთ გადაიქცეს.

ვინაიდან ამხ. ს. ჩოლოყაშვილის მოხსენება საერთო ხასიათისაა, ამიტომ რეზოლიუციის გამოტანა მის შესახებ გადაიდვა სხვა მოხსენებათა წაკითხვის დათავებამდე.

გადასახადი ვენახებზე.

(მომხსენებელია აგრ. ი. ანდრონიკაშვილი).

მომხსენებელი, ეხება რა მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, აღნიშნავს, რომ ამ კანონით გათვალისწინებული გადასახადი ვენახებზე ფრიად მძიმეა მევენახეთათვის, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში (აღ. საქ. იგი უდრის 5 მან. 10 კაპ, დასავლეთ საქარ. 2 მან. 50 კ.) და რამოდენიმეჯერ აღემატება ვენახებზე არსებულ გადასახადს ომამდე ეს გარემოება ძალიან ხელს უშლის მევენახეობის [illegible], მით უმეტეს, რომ აღმოს. საქარ. ფილოქსერის გაჩენის გამო ვენახები საოცარ ცუდ მდგომარეობაში არიან ჩაყენებული.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით ცუდათ არის საქმე აღმოსავ. საქ-ში. დასავლეთ საქ-ში არც გადასახადია იმდენი, ამასთანავე ვაზებიც დიდი ხანია ამერიკულ საძირეებზე არიან გადაყვანილნი და მოსავალიც უფრო უხვია, ვიდრე აღ. საქ-ში, სადაც მოსავალს ხშირად სეტყვა აფუჭებს, ამიტომ მოითხოვს აქ დროებით სრულიად მოხსნას გადასახადი ვენახებზე, ისე როგორც ეს ჩაის კულტურაზე არის შემოღებული.

ხანმოკლე აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ყრილობა იღებს მომხსენებლის მიერ წამოყენებულ თეზისებს და საბოლოო რედაქციის გაკეთებას ანდობს პრეზიდიუმს.

სხდომა იხურება 2 ნახ. საათზე.

შემდეგი სხდომა საღამოს 6 საათზე.

საღამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს დამს. პროფ. პ. მელიქიშვილი.

სააქციზო გადასახადის შესახებ.

(მომხსენებელი აგრ. დ. ანდრონიკაშვილი)

მომხსენებელს მოყავს ცნობები სააქციზო გადასახადის შესახებ ღვინოებზე და სხვაგვარ სასმელებზე ომამდის, ომის დროს და ეხლა. აღნიშნავს, რომ ეხლანდელი სააქციზო გადასახადი რამოდენიმეჯერ აღემატება, არა თუ ომამდის არსებულს, არამედ ომის დროს არსებულსაც კი. განსაკუთრებით საგრძნობია აქციზის რაოდენობა გასატან ღვინოებზე, რომელიც შეუძლებლად ხდის საქართველოს საზღვრის იქით ღვინის გატანას. მაშინ, როდესაც თვით ღვინო ადგილობრივ ერთი ვედრო ღირს 1 მ. 20 კ., გასატანი აქციზის რაოდენობა 3 მ. 20 კ. უდრის. ამასთანავე აღნიშნავს, რომ გზისა და სხვა დამატებითი ხარჯები ღვინის გადატანის დროს იმდენად დიდია, რომ მოსკოვში ჩატანილი ღვინო მის ფასით ღირებულებაზე მეტი ჯდება. ამიტომ მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია მევენახეობის განსაკუთრებული მდგომარეობის გამო (ფილოქსერის გაჩენა) დროებით სრულებით მოიხსნას გადასახადი; ან დაყვანილ იქნეს მისი რაოდენობა შესაძლებელ მინიმუმამდე. თუ ესეც შეუძლებელია ბაზრის მდგომარეობის გამო, მაშინ აღებულ აქციზიდან დაარსებულ იქნას ფონდი მევენახეობა-მეღვინეობის აღსადგენად. საერთოდ კი არსებული გადასახადები საჭიროა შეუფარდდეს ამ დარგის ნამდვილ მდგომარეობას.

აზრთა გაცვლა გამოცვლა.

მოხსენების გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღო ს. ჩოლოყაშვილმა, გ. საყვარელიძემ, ილომოურმა და სხვ.

ვ. საყვარელიძე აღნიშნავს ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რომ ეხლა არსებული აქციზი გამოწვეული იყო რესპუბლიკის განსაკუთრებული ეკონომიური მდგომარეობით და რომ ეხლა თვით მთავრობას, საბჭოთა ხელისუფლებას და პარტიასაც აზრათ აქვს გადასინჯოს ეს აქციზი და შეუფარდოს იგი როგორც სახელმწიფოს მდგომარეობას, ისე მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების საჭიროებას.

დანარჩენებიც ეთანხმებიან მომხსენებელს მის თეზისებში და აგრეთვე საჭიროდ მიაჩნიათ, რომ მაზრის ფარგლებში სოფლის მევენახეებს უფლება მიეცეთ ღვინის უაქციზოთ გატანისა და ვაჭრობისა.

ყრილობა ერთხმად იღებს შემდეგ რეზოლიუციას:

1. ეთხოვოს სადაც ჯერ არს, რომ გასატანი აქციზი იქნას გაუქმებული ან დაყვანილი მინიმუმამდე.

2. გადაისინჯოს არსებული კანონმდებლობა ამ საკითხზე და ის შეუფარდდეს ნამდვილ მდგომარეობას მევენახეობისას.

3. სოფლის მშრომელებს ნება მიეცეთ მაზრის ფარგლებში უაქციზოთ ღვინით ვაჭრობისა და გადატან-გადმოტანისა.

ღვინის კანონის შესახებ.

(მომხსენებელია კ. მოდებაძე)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ღვინის ფალსიფიკაცია, რომელიც ძალიან გავრცელებულია რუსეთში (ჩვენი ღვინის ბაზარში), აფერხებს მევენახეობის განვითარებას, რადგან დიდი შრომით მოწეული ღვინო ვერ უძლებს იაფ ფალსიფიკაციის კონკურენციას. შემოაქვს კანონ პროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია ის, თუ რას ეწოდება ნამდვილი ღვინო, რა არის ფალსიფიკაცია და რა სასჯელი უნდა დაწესდეს ამა თუ იმ სახის ფალსიფიკაციისათვის. მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია, რათა ეს კანონი სასწრაფოთ იქნას გაყვანილი მთელი საკავშირო რესპუბლიკების ფარგლებში, რათა ამით უზრუნველყოფილ იქნეს მევენახეობის ნორმალური განვითარება ამასთანავე უნდა დაარსდეს მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტები, რომლებიც ამ დარგების სხვა საჭირბოროტო საქმეების მოწესრიგებასთან ერთად, თვალყურს ადევნებენ ამ კანონის ცხოვრებაშიც გატარებასაც.

ამ საკითხის შესახებ აზრთა-გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობას იღებს პრ. პ. მელიქიშვილი, ს. ხუნდაძე, ს. ჩოლოყაშვილი, გ. საყვარელიძე და სხ.

პროფ. მელიქიშვილის აზრით, სასურველია დაარსებულ იქნეს ერთი ლაბორატორია ღვინის ანალიზების საწარმოებლათ, რომ შესაძლებელი გახდეს ნორმალური ღვინის შემადგენლობის გამორკვევა და აქედან ფალსიფიკაციის გაგება.

თათბირი იზიარებს როგორც მომხსენებლის, ისე პრ. მელიქიშვილის აზრს და სასურველად სცნობს ეს კანონ პროექტი წარდგენილ იქნეს მევენახეობა-მეღვინეობის საკავშირო ყრილობაზე.

შემდეგი მოხსენება ეკუთვნის პროფ. ფ. ზაიცევს.

ფილოქსერა და მასთან ბრძოლა.

(მომხსენებელი პროფ. ზაიცევი)

მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია შესწავლილ იქნას ადგილობრივი ფილოქსერა, რომ მასთან მიზანშეწონილი ბრძოლა შესაძლებელი გახდეს. აღნიშნავს, რომ ტფილ. ბოტანიკური ბაღის ენტომოლოგიის კაბინეტს განზრახული აქვს ამ საქმის დაწყება, საჭიროთ მიაჩნია ყრილობამ გამოიტანოს დადგენილება, რათა მიწ. მოქ. კომისარიატი დაეხმაროს ბაღს ამ საქმეში.

ყრილობა ერთხმად ადგენს ეთხოვოს მიწ. მოქ. კომისარიატს დახმარება აღმოუჩინოს ამ საქმეში.

შემდეგი სხდომა 17 იანვარს.

ქრონიკა

— **აბაშის წყლით მამოძრავებელი ელექტრონის სადგური.** უმაღ. ეკონომიურმა საბჭომ აბაშის წყლით მამოძრავებელ ელექტრონის სადგურის აღმშენებლობის ხელმძღვანელათ დანიშნა ინჟინერი ჭეჟინაძე.

— **კოოპერატიული სამმართველო.** უმაღ. ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა კოოპერატიული სამმართველო შემდეგი შემადგენლობით: ა. ერქომაიშვილი (თავმჯდ.) ვ. კანდელაკი (თავმჯდ. მოადგილე), ტოროშელიძე და დუმბაძე (წევრებად).

— **ინვალიდთა სახლი ქუთაისში.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის ქუთაისის განყოფილებას განზრახული აქვს შრომის და ომის ინვალიდებისათვის ქუთაისში გახსნას საინვალიდო სახლი.

— **ნავთი და სათბობი მასალა რკინისგზის სკოლების მასწავლებლებს.** ა. კ. რკინის გზის სამმართველომ დაადგინა, რკინის გზის სკოლების მასწავლებლებს და ადმინისტრატიულ პერსონალს ნავთი და სათბობი მასალა მიეცეს, როგორც ეძლევა ყველა რკინის გზის მოსამსახურეს.

— **ორთქლმავალთა რიცხვი.** 1-ლ იანვრისათვის ა. კ. რკინის გზაზე ირიცხებოდა 619 ორთქლმავალი. წასულ თვეებთან შედარებით ორთქლმავალების რიცხვი საგრძნობლათ გაიზარდა.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** 15 იანვრისთვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან საქართველოში შემოსულია 124,541 ფ. ხორბალი, 62,289 ფ. ქერი, 194 ფ. სიმინდი. ფულად 6 ტრილიონი, 138 მილიარდი, 342 მილიონი და 410,000 მან.

— **სავეტერინარო გადასახადი.** ქ. აღმასკომის დადგენილებით გაუქმებულ იქნა ბაზარში პირუტყვების გასასინჯათ არსებული სავეტერინარო გადასახადი, მიკროსკოპიულ სადგურების გამოკლებით.

— **საბინაო ქირა.** ქ. აღმასკომმა საბინაო ტარიფების გადასასინჯათ გამოყო კომისია ამხ. ამხ. იტრიევის, სიმონ ჯუღელის და მესხის შემადგენლობით.

— **პირველი უბნის საბინაო-სახალხო მოსამართლე.** პირველი უბნის საბინაო-სახალხო მოსამართლეთ ქალაქის აღმასკომმა დაამტკიცა ამხ. ვასო მესხი.

— **აჭარის კომუნალურ მეურნეობისთვის.** უმაღ. ეკონომიურმა საბჭომ გადასწყვიტა ბათომის ნავთის ბაზებიდან ამოღებულ ნაწარმოებზე დაწესებული საფუთო გადასახადი გადაიდოს აჭარის კომუნალურ მეურნეობის სასარგებლოთ.

— **ხელოვნურ ფეხების და ხელების სახელოსნო.** ქუთაისში სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის ქუთაისის განყოფილების თაოსნობით ქუთაისში გაიხსნა ხელოვნურ ფეხების და ხელების სახელოსნო.

— **„კავშირი“.** გამოვიდა საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის ორგანო „კავშირი“, № 1. შინაარსი: 1. კოოპერაციის მომავალი საქმიანობა. 2. „მაკრატლის“ პრობლემა და კოოპერაცია—მალაქია ტოროშელიძე. 3. კოოპერატიული კრედიტი—ზ. გოგიბაშვილი. 4. სტენოგრაფიული ანგარიშები საქ. ცენტ. კავშირის რწმუნ. ყრილობისა. 5. ცეკავშირის რწმუნებულთა მეოთხე ყრილობის რეზოლიუციები. 6) ქრონიკა.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ა.-კავკასიაში.** 15 იანვრისთვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან სრ. ა.-კავკასიაში აკრეფილია 4,880,871 ფ. ხორბლის ერთეული; ფულად 16 ტრილიონი, 437 მილიარდი, 558 მილიონი და 742,250 მანეთი.

— **ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებაში.** ორშაბათს, 21 იანვარს, სახელ. უნივერსიტეტის მთავარ კორპუსის მე-15-ე აუდიტორიაში, საღამოს 6 საათზე შედგება საქართველოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების და საბუნებისმეტყველო სექციის საზოგადო კრება დღის წესრიგი: 1—ზ. ყანჩაველის მოხსენება „კახეთის მალარიულობა“. 2—მორიგი საკითხები.

— **ჰაეროპლანის გამოყენება ელექტროფიკაციის საქმეში.** ამ დღეებში ა—კ. საავიაციო საზოგადოება მოაწყობს ჰაეროპლანით გადაფრენას ალაზნის ველზე სოფ. ფშაველის მახლობლად, გადაფრენის მიზანია გამონახოს შესაფერი ადგილი ელექტრონულ სადგურისათვის.

— **დამზღვევ კასაში.** გასული წლის დეკემბრის განმავლობაში დამზღვევ კასაში დაზღვეულ მუშა მოსამსახურეთათვის, წარმოება-დაწესებულებებიდან შეტანილია 2 ტრილიონი 500 მილიარდი, 380 მილიონი და 817,000 მან. რაოდენობით.

— **შრომის ბირჟა.** 17 იანვარს. შრ. ბირჟაში გამოცხადდა 25 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—343, სამუშაოზე გაიგზავნა—47. მოთხოვნილება იყო—66.

შემთხვევები.

— **ქურდობა.** 16 იანვარს ბროსეს ქ. № 3 გაქურდეს მოქ. ვარლამ კობახიძის ბინა, საიდანაც წაიღეს 365 ჩერვონეცის ნივთები. ეჭვით შეიპყრეს მეეზოვე მურად ხამოევი.

— **ქურდი ცოლი.** 16 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ეკლესიის აღმარ. № 4, გაქურდული იქნა მოქ. ალ. დანჩენკოს ბინა მისივე ცოლის ნინო ალექსის ასული დანჩენკოსაგან. წაღებულია სამი წყვილი კაცის საცვლები, ორი სპილენძის ქვაბი, ორი კოვზი და ორი სკამი, ღირებული სულ 7 ჩერვონეცათ. მიღებულია ზომები მის შესაპყრობად.

— **ცეცხლი.** 16 იანვარს საღამოს 5 საათზე, სადგურის ქ. № 8, ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანაში № 1, გაჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლისმქრობელ რაზმის მიერ. ზარალი და ცეცხლის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია.

— **ფურნის გაქურდვა.** 15 იანვარს, ღამით, კახეთის ქ. № 36, გაქურდული იქნა მოქ. ამბარცუმ კობორიანის ფურნე, საიდანაც წაღებულია 8 ჩერვონეცის სხვადასხვა ნივთები.

— **მძარცველები.** 16 იანვარს, ღამის 12 საათზე, სასახლის ქ. № 2, მოქ. ვარა კარაპეტის ასული დარუშანოვის ბინაზე მისულან 4 შეიარაღებული ბოროტმოქმედნი და მოუხდენიათ ჩხრეკა, რის შემდეგ მოუთხოვიათ ოქრო და ვერცხლი. მიღებულია ზომები მათ შესაპყრობათ.

ხელოვნება

— **გამოვიდა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“** № 2 (ვ)—1924 წ. შემდეგი შინაარსით: მეთაური—ა) საერთო ხელმძღვანელი; ბ) სასოფლო თეატრის ისტორიისათვის. იულიუს ბარდი—თეატრი წარსულის და თეატრი მომავლის. დ. თურდოსპირელი—ფიქრთა ნამსხვრევი. ივ. გრიშაშვილი—პოეზიის ახალი გზები. ტრ. რამიშვილი—სიყვარულის საზღვართან ჩანგი. კოკი ებრალიძე—პასტორალი; ბ. პელაშვილი—მოლოდინში; შ. ჯანბერიძე—ჩემი იდუმალება; ბაბილინა—სანდრო შანშიაშვილს; იმერელი ქალი—გოდება. ჩარკანი—ელო ანდრონიკაშვილის საღამოს გამო. რაჟ. კალაძე—როგორი ხელოვნება გვჭირდება ახლა. შ. დვამიჩავა—სახალხო სახლი. ვახტანგ გარრიკი—„დაისის“ შესრულება. ვასო ბალანჩივაძე—ვითომ ხუმრობა—იმერელი ტფილისში; ვანო ბარველი—წაშარებული ექსპრესიონისტულად. იოსებ იმედაშვილი—მუშა მწერალთა მამამთავარი იოსებ დავითაშვილი. მოთეატრე—კიდევ ერთი სასცენო კერა ტფილისში. რეცენზია; სახელოვნო ქრონიკა.

— **სახელმწიფო აკადემიურ ოპერაში.** ოპერის დასის შემადგენლობიდან გავიდნენ პანკრატოვას ქალი, ადა რებონი, რეჟისორი რაისკი, ლორთქიფანიძე, გუდიმ-ლევკოვიჩი და პრიმა-ბალერინა ანდრეევა.

— **კომპოზიტორ იპოლიტოვ-ივანოვის ლექცია.** კომპოზიტორი იპოლიტოვ-ივანოვმა სახ. კონსერვატორიაში უკვე დაიწყო მოწაფეთათვის ლექციების კითხვა.

კ. კაპანელის მოხსენება. ახლო მომავალში კ. კაპანელი წაიკითხავს სახალხო მოხსენებას თემაზე: „მეტყველების ევოლუცია და ხელოვნების პრობლემა“.

— **პროლეტარულ სტუდენტების სასარგებლოთ.** დღეს, სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართება პროლეტარულ სტუდენტების სასარგებლოთ დიდი კონცერტი.

— **დახმარება სულხანიშვილის ქვრივ-ობლებს.** განათლების კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე სახალხო კომპოზიტორის სულხანიშვილის ქვრივ ობლებისთვის ყოველთვიური დახმარების დანიშვნის შესახებ.

— **ახალი წიგნი.** თედო სახოკიამ ფრანგულიდან გადმოთარგმნა ანრი ბარბიუსის ცნობილი რომანი ომის ცხოვრებიდან: „ცეცხლი“. წიგნს სცემს სახ. გამომცემლობა.

დღეს თეატრებში

— **ოპერა** — წითელარმიელებისათვის „ევგენი ონეგინ“.

— **დრამა**—წარმოდ. მუშებისათვის.

— **სახალხო სახლი**—რუსული წარმოდგენა.

პროვინციაში

სოფელთან კავშირი

8 იანვარს მე ვიყავი სოფ. ხაშმში (გარე-კახეთი) უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების, სამკითხველო ქოხების მდგომარეობის გამოსარკვევად. და სხ. სკოლების გამგემ ამხ. გრიგოლ ჯანიაშვილმა გვ ჩვენა სკოლა. მშვენიერი დიდი შენობაა. შიგ არის მოთავსებული ფორტოპიანოს კლასი, ყმაწვილებს ასწავლიან პიანინოს; იქვე ჩვენთან რამდენიმე ყმაწვილმა დაუკრეს ინტერნაციონალი. პიანინო არის გადმოცემული ამხ. სუხიშვილისაგან. არის საყმაწვილო კლუბი თავის ბაღით. გავსინჯეთ საფეიქრო კლასი, სადაც სწავლობენ 16 ქალი. ამ კლასს აქვს განყოფილება, სადაც უდგათ სამი დაზგა, მხოლოდ მუშაობას აფერხებს ძაფის და სხვადასხვა მასალის უქონლობა. ამ საფეიქროს რომ მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, დიდ ნაყოფს მოიტანს. კარგი შალები იქსოვება. საერთოთ სკოლა შესდგება 8 განყოფილებისაგან; სწავლობს 260 მოწაფე. ბევრი არიან საწყალი გლეხთა შვილები, რომლებიც იძულებულნი არიან გაანებონ სწავლას თავი, რადგანაც ვერ სძლებენ წიგნების და რვეულების ყიდვას. ადგილობრივი თეატრი სდგამს ფასიან წარმოდგენებს და ამით ეხმარება ღარიბ მოწაფეებს, მაგრამ ეს ვერ აკმაყოფილებს. ამას უნდა მიაქციოს ყურადღება განათლების კომისარიატმა. ხაშმს აქვს თავისი თეატრი. თეატრი მოთავსებულია სკოლის შენობაში. თეატრი ფართო დარბაზს წარმოადგენს. მას ძალიან ესაჭიროება დეკორაციების და სცენის შეკეთება. ამას უნდა მიაქციოს ყურადღება შეფმა, ქალაქის წყალსადენმა, დაეხმაროს კულტურულ საქმეში, აგრეთვე ღარიბ მოწაფეებს წიგნებით და რვეულებით, როგორც ეს ქნა მარტყოფის შეფმა—ექსპედიციის მუშებმა, რომლებიც მარტყოფის სკოლას დაეხმარნენ 300 რვეულით, 300 ფანქრით და სხვა მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი შეფები გულგრილად ეკიდებიან დავალებულ საქმეს და სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სოფლებს. ზოგ ალაგას გადის 3—4 თვე, რომ ირთხელაც არ მივა არავინ ქალაქიდან და არ გააგონებს მას ცოცხალ სიტყვას, თუ რა ხდება მის ირგვლივ და ეს იქ, სადაც არის შეფები; იქ კი, სადაც არ ყავთ შეფი, სოფელი მივიწყებულია. ბევრ ალაგას გამოისმის გლეხებიდან საჩივარი, სად არიან ჩვენი შეფები. სოფ. ახალ სოფელში საერთო ყრილობაზე გლეხებმა შემოგვჩივლეს, ყველა სოფელს ჰყავს შეფი, ჩვენ რაღა დავაშავეთ; სოფელს აქვს განზრახული გააკეთოს თეატრი, გამოიყვანოს წყალი, მხოლოდ მათ სჭირდებათ ერთი ტეხნიკი და სხვა ყველაფერს თითონ კისრულობენ. ვინ უნდა დაეხმაროს მათ,—ქალაქის მუშა.

გარე-კახეთის პარტკომი ეხლა დიდ ყურადღებას აქცევს, რომ ყველა ადგილას იყოს გახსნილი უცოდინართა სკოლა, ამის შესახებ მე ვიყავი სოფ. ხაშმში, სკოლების გამგესთან, სადაც მოვახდინეთ კრება, მოუწოდეთ მასწავლებლებს, რომ ისინი დაუახლოვდნენ ხალხს, შეიტანონ ხალხში თავისი სწავლა. დიდი აღტაცებით მიიგებენ ამას მასწავლებლები. იყო გამოტანილი რეზოლიუცია—ყველა სოფელში დაარსდეს სკოლა, ჩაებან მასწავლებლები ამ საქმეში და მიეცეთ სათანადო ჯილდო. მასწავლებლები ძალიან სინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, გლეხები დიდათ მადლიერნი არიან, მხოლოდ, მატერიალურად ძალიან არიან შევიწროებულნი. ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

აგრეთვე ქოხების შესახებაც არის მიღებული ზომები. არის 6 სამკითხველო ქოხი—განათლების კომისარიატის ხარჯზე, იწერება ათი გაზეთი, მხოლოდ თავის დანიშნულ ალაგას არ მიდის. ამის შესახებ დაევალა სკოლების გამგეს საჩქაროთ გამოიძიოს ეს საქმე. მე მოუწოდებ ქალაქის მუშებს რომ მათ მოხედონ სოფელს გაუმარჯოს მუშისა და გლეხის კავშირს.

გარე-კახეთის ინსტრუქტორი—

ა. ხუციაშვილი.

კულტურული მუშაობა ნახახულევის თემში (ქუთაისის მაზრა)

გასაბჭოების დღიდან ნახახულევის თემში იწყება გაცხოველებული კულტურული მუშაობა. გლეხობა სიამოვნებით ეგებება ამ კულტურულ მუშაობას.

მე მოკლედ ავღნიშნავ, თუ რა გაკეთდა თემში და რა აქვთ დასახული გასაკეთებლათ ახლო მომავალში. სოფ. კონტუატში აშენდა ოთხწლედი სასწავლებელი, სოფ. საწულუკიძეოში შენდება ასეთივე სკოლა; სოფ. მათხოჯში შენდება ცხრაწლედი სასწავლებელი და სახალხო სახლი, რომელიც ახლო მომავლისათვის დამთავრდება.

უკანასკნელ ხანებში სოფ. ნახახულევის სოფლის მცხოვრებთა ინიციატივით, თემის საშუალო ადგილს, სადაც არსებობს თემის სამმართველო და ოთხკლასიანი სასწავლებელი, განიზრახეს ბაღის გაშენება, რისთვისაც გადაიდგა ჯეროვანი ნაბიჯი და იქნა შემოფარგლული ბაღისათვის ორი დესიატინა მიწა. აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად იყო მიწვეული სოფ. ნახახულევის მცხოვრებთა კრება. კრებამ სურვილი გამოსთქვა ბაღის გაშენებაზე და გამოჰყო თავისი წრიდან კომისია შვიდი მოქალაქისაგან.

კომისიის წევრები დაინტერესებული არიან ამ საკითხის მოწესრიგებაში და ნახახულევის თემის მცხოვრებთა დახმარებით კიდეც მიაღწევენ მიზანს.

ამასათ განზრახული აქვთ დადგან მარქსის ქანდაკება, რისთვისაც ახლო მომავალში იქნება ჯეროვანი ნაბიჯი გადადგმული.

გიტაშვილი.

მენშევიკის განცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ ეს ჩემი განცხადება მოათავსოთ თქვენს გაზეთში.

1904 წლიდან მე ვირიცხებოდი სოც. დ. მ. პარტიაში და შეძლების დაგვარად ვმუშაობდი კიდეც. ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო ვერ მივიღე მონაწილეობა საქართველოს სოც. დემ. მ. პარტიის ყრილობაზე. ამ ყრილობამ ერთხელ კიდევ საშუალება მომცა გადამეფასებია ჩემი წარსული და აწმყო. დღეს ღრმა შეგნებით ვიზიარებ რა საქართველოს სოც. დემ. მ. პარტიის (მენშევიკების) ყრილობის მიერ არჩეულ გზის სისწორეს, მეც სავსებით ვეერთდები ყველა მის დადგენილებებს და ვტოვებ მენშევიკურ პარტიას.

მუშა ზეინკალი **სოკრატ სოლომონის ძე თედორაშვილი.**

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის იანვრის 14

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი.

დებულება

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის შესახებ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი არის საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ორგანო სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და ამ აპარატის სრული დაპყრობის საქმეში და მისი სოციალისტური აღმშენებლობის მიზნებისათვის შეგუების საქმეში.

ამისდამიხედვით მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს ეკისრება:

ა. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოვალეობანი.

1) პრაქტიკული და თეორეტიული შესწავლა მმართველობის საქმის; გამორკვევა მმართველობის მომქმედ ორგანოთა ნაკლისა და ღირსებისა, თავიდან აცილება პირველისა და და განმტკიცება უკანასკნელისა; მოწყობა სხვადასხვა ცდისა და განხორციელება პრაქტიკულ ღონისძიებათა მმართველობის, საქმის წარმოების და ანგარიშების ტეხნიკის რაციონალიზაციისთვის; შემუშავება ანგარიშწარმოებისა კალკულიაციისა და ბალანსების შედგენის უფრო სრულყოფილი ფორმებისა; შემუშავება გეგმებისა, შეცვლა სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურისა, როგორც მათი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ისე ნორმალური პირობების შექმნისათვის, რაც გაადვილებს მეთვალყურეობას სახელმწიფოს მხრით.

2) ყოველგვარი წახალისება სახელმწიფო, ადმინისტრატიული და სამეურნეო ორგანოებისა მათი აპარატების გაუმჯობესებისათვის, დახმარების აღმოჩენა მათთვის ამ საქმეში, აღნუსხვა მათი გამოცდილებისა, შეთანხმება და გაერთიანება მათ მიერ ხმარებულ ღონისძიებათა.

3) საერთო ხელმძღვანელობა და გაერთიანება ყველა დაწესებულებათა მოქმედებისა, რომელნიც, მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებული, ცალკე დებულების საფუძველზე მომქმედი, მათი წარმომადგენლობითი ორგანოს მეშვეობით ეწევიან შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოებისა და მმართველობის ტეხნიკის შესწავლას; ორგანიზაცია, ცალკე შემთხვევებში სახელმწიფოებ. მნიშვნელობის მქონე საცდელი სადგურებისა, საჩვენებელი დაწესებულებებისა და სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების დახმარების უჯრედებისა.

შენიშვნა. სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების დახმარების უჯრედები არსებობენ ცალკე დებულების საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი.

4) დაწვრილებითი შესწავლა საკვარტალო და წლიური საორიენტაციო ბიუჯეტისა (სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტისა) და აღნუსხვა მისი შესრულების გამოცდილებისა, მისი ფინანსიური რეალობის და სამეურნეო მიზანშეწონილობის თვალსაზრისით; მიცემა დასკვნისა სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ნუსხის შესრულების იმ ანგარიშების შესახებ, რომელსაც შეადგენს ფინანსთა სახალხო კომისარიატი; გამოკვლევა და შესწავლა წარმოებითი გეგმებისა და მათი შესრულებისა სამეურნეო ორგანოების მიერ და აგრეთვე ადმინისტრატიულ და კულტურულ განმანათლებელ ორგანოების საგეგმო დავალებათა შესრულებისა. შემოწმება ყველა სახელმწიფო ორგანოს მოქმედებისა ნამდვილად მიღწეული შედეგების თვალსაზრისით და ამ ორგანოებისათვის სისტემატიური ინსპექტორობის გაწევა გამოკვლევის მასალისა და სამეცნიერო ცნობების საფუძველზე.

5) შეფასება და შემოწმება არსებითად ადმინისტრატიული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა და თანამშრომლთა მუშაობისა; დახმარების აღმოჩენა მათთვის პირადი შედგენილობის შერჩევაში; ხმარება საჭირო ღონისძიებათა, რათა მუშები და გლეხები პრაქტიკულად იქნენ მომზადებულნი პასუხსაგებ ხელმძღვანელ თანამდებობათათვის და რათა დახმარება აღმოუჩინოს საქმისადმი უმეტესად ერთგულ მომუშავეთ.

6) გამოკვლევა და შესწავლა სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა დანაშაულის მიზეზებისა და უყაირათობისა, ბრძოლა მოსყიდვის სისტემისა და მექრთამეობის წინააღმდეგ იმგვარივე დირექტივების დაწესებით, რაც აქვთ სათანადო სასამართლო და ადმინისტრატიულ ორგანოებს.

7) განსაკუთრებით ძლიერი გაუმჯობესება სახელმწიფო აპარატისა და სამეურნეო ორგანოებისა მოსახლეობასთან მათი უშუალო კავშირის სფეროში; სისტემატიური და გეგმაშეწონილი გამოყენება საბჭოთა, პარტიული და პროფესიონალური ბეჭდვითი სიტყვისა, რათა დაუნდობელი ბრძოლა გაეწიოს სახელმწიფო ორგანოთა იმ თანამშრომელთ, რომელნიც უყურადღებოთ მოეპყრობიან მუშათა და გლეხთა, განსაკუთრებით წერა-კითხვის უცოდინარ და მის ნაკლებად მცოდნე მუშათა და გლეხთა საჭიროებას და მოთხოვნილებას და აგრეთვე სხვადასხვა ეროვნებათა მშრომელ მოსახლეობას; ბრძოლა ყოველგვარი თანამდებობრივი და სამეურნეო დანაშაულის წინააღმდეგ, დაუდევრობისა, მექრთამეობისა, ბიუროკრატიზმისა და სხვ. წინააღმდეგ.

8) შესწავლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ანგარიშწარმოებისა და ანგარიშებისა და ხელმძღვანელობის გაწევა ამ სფეროში მომუშავე თანამშრომელთათვის; დაწესება მუშაობის მეთოდებისა ბუხჰალტერიისათვის, კალკულიაციისა და ბალანსის შედგენისა და შემოწმებისათვის და თანაბარი საანგარიშო ერთეულების შემოღებისათვის; მოწყობა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან სპეციალურ სახელმწიფო ბუხჰალტერ-ექსპერტთა კადრისა.

9) შესრულება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების ცალკე სპეციალური დავალებებისა და მინდობილობისა და აგრეთვე კონტროლი და მეთვალყურეობა აღნიშნული ორგანოების იმ დადგენილებათა და გადაწყვეტილებათა სწორი განხორციელებისათვის, რომლის მიზანიც, პირველ რიგში, იქნება სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება.

10) ფართოდ დაყენება გამომცემლობითი - საინფორმაციო საქმისა, რაც გააშუქებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა, წარმოებისა და მმართველობის საკითხებს და აგრეთვე რევიზია-ინსპექტორობის მინაღწევს.

ბ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის უფლებანი.

აღნიშნულ მოვალეობათა განხორციელებისათვის მუშათა და გლეხთა ინსპექციას ეძლევა შემდეგი უფლებანი:

11) სრული და ნაწილობრივი სარევიზიო-საინსპექციო გამოკვლევა,—როგორც დამოუკიდებლად, ისე რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების მეშვეობით,—ყველა ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და საწარმოებისა, მათი შენაერთისა, სხვათა შორის კოოპერატიული და პროფესიონალური ორგანოებისაც, აგრეთვე სააქციო კომპანიებისა, შერეულ საზოგადოებათა, საკონცესიო საწარმოებისა და ყველა სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, რომელსაც სუბსიდიას აძლევს სახელმწიფო ან მოქმედებს სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით ან და საზოგადოებრივი გამოსაღებით და შემოსავლით.

შენიშვნა: იმ სახელმწიფო საწარმოოთა მდგომარეობის გამოკვლევას, რომელიც იჯარით აქვს აღებული კერძო პირს ან ორგანიზაციას, აგრეთვე იმ საწარმოოსას, რომელიც კერძო პირის მფლობელობაშია ან გაცემულია კონცესიით,—მუშათა და გლეხთა ინსპექცია მოახდენს ამ საწარმოოთა და სახელმწიფოს შორის არსებულ ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში.

12) მოთხოვნა სახელმწიფო დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათაგან მასალისა, დოკუმენტებისა, აქტებისა, ახსნა-განმარტებისა, ანგარიშისა და სხვა ცნობებისა, რაც დაახასიათებს დაწესებულებათა, საწარმოოთა და ორგანიზაციათა მოქმედების ვითარებას, აგრეთვე გამოწვევა გამოსაკვლევი ორგანოების ხელმძღვანელებისა, და თანამშრომლებისა როგორც პირადი ახსნა-განმარტების წარსადგენად, ისე ერთად თათბირისა და სხდომებისათვის და აგრეთვე ქვე-კომისიაში გამოწვევა იმ საკითხების განსახილველად, რაც აღიძვრება აღნიშნულ გამოკვლევათა პროცესში.

13) წინადადების მიცემა ყველა რევიზიამოხდენილ სახელმწიფო დაწესებულებისა, საწარმოოსა და ორგანიზაციისათვის: ა) აღმოჩენილი ნაკლის თავიდან აცილების შესახებ; სათანადო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ მათი აპარატის რაციონალიზაციისათვის; გ) თანამდებობის პირთა დათხოვნის შესახებ სერიოზული დაუდევრობისა და უყაირათობისათვის; დ) დისციპლინარული გადასახდელის დადების შესახებ იმ წესით და იმ ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია კანონით.

შენიშვნა: უკეთუ მე-11 მუხლში აღნიშნული დაწესებულების ან საწარმოოს ხელმძღვანელი არ დაეთანხმება მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინადადებას—იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამ კომისარიატს თავისი მისაგებელი.

14) წარდგენა ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების განსახილველად სარევიზიო გამოცდილების საფუძველზე შემუშავებულ კონკრეტულ წინადადებათა მმართველობის აპარატის გამარტივების შესახებ; თავიდან აცილება პარალელიზმისა და უყაირათობისა; ცალკე კომისარიატებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების მოქმედების შეთანხმების ფორმათა შესახებ და აგრეთვე საქმის წარმოების მთელი სისტემის რეორგანიზაციის შესახებ ამა თუ იმ დაწესებულებაში ან ცალკე ნაწილში.

15) ორგანიზაცია და დამტკიცება დებულებებისა საუწყებო აპარატის რაციონალიზაციის ორგანოთა შესახებ (საგეგმო და საორგანიზაციო ბიუროები, საცდელი სადგურები, დახმარების უჯრედები სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის), დამტკიცება ამ ორგანოთა მუდმივი საჯარო ანგარიშების ფორმებისა დაწესებულების მუშაობისა და მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე ამ ორგანოთა ხელმძღვანელი შედგენილობის გადაყენება.

16) დახურვა და სრული ლიკვიდაცია როგორც სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის საუწყებო ორგანოებისა, ისე შრომისა და მმართველობის ცალკე სამეცნიერო-გამოკვლევითი ინსტიტუტებისა და აგრეთვე საკონტროლო და საინსპექციო ორგანიზაციებისა და ჯგუფებისა, როდესაც მათი მუშაობა ან შედგენილობა დამაკმაყოფილებელი ვერ იქნება.

17) მოწვევა თათბირებისა, კონფერენციებისა და ყრილობათა შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოებისა და მმართველობის ტეხნიკის საკითხების განსახილველად, აგრეთვე მეურნეობის წარმოებისა და მმართველობის მეთოდების და წესისა, აღნუსხვისა, ანგარიშებისა და სხვ. დასამყარებლად. შემუშავება გეგმისა და პროგრამისა და განათლების ორგანოებთან და პროფესიონალურ კავშირებთან ერთად განხორციელება სხვადასხვა კვალიფიკაციის მომუშავეთა მომზადებისა და ხელახლად მომზადებისა შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა, წარმოებისა და მმართველობის ტეხნიკის სფეროში.

18) უფლება სათათბირო ხმით მონაწილეობისა კომისიაში და თათბირში, რასაც მოაწყობს უმაღლესი ორგანოები ცენტრში და ადგილობრივ, სახალხო კომისარიატების კოლეგიათა აღმასრულებელი კომიტეტებისა და მათი პრეზიდიუმების სხდომებში, ყოველგვარ სხვა საუწყებო და საუწყებათაშორისო თათბირში და აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოოთა და მათ შენაერთთა და საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციათა ყოველგვარ ყრილობაში, კონფერენციაში, თათბირში, განმკარგულებელ სხდომაში და სხვ.

19) შეჩერება იმ დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა აშკარად უკანონო განკარგულებისა და მოქმედებისა, რომლის რევიზიაც ხდება.

შენიშვნა 1. უფლება ამა თუ იმ განკარგულების და მოქმედების შეჩერებისა ეკუთვნის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარს, ან მუშათა და გლეხთა ინსპექციის საამისოდ რწმუნებამოსილ პასუხისმგებელ თანამშრომელს.

შენიშვნა 2 მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მიერ დაწესებულებათა მოქმედების და განკარგულების შეჩერება—შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ მუშათა და გლეხთა უმაღლესი ინსტანციისაგან. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ დადასტურებული შეჩერება დაწესებულებათა მოქმედებისა და განკარგულებისა—შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

შენიშვნა 3 აღნიშნული უფლება მუშათა და გლეხთა ინსპექციისა არ გავრცელდება ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის და მისი პრეზიდიუმის დადგენილებაზე და აგრეთვე სასამართლო ორგანოების განაჩენზე და გადაწყვეტილებაზე და საგამომძიებლო ხელისუფლებისა და პროკურატურის განკარგულებაზე—გამგებლობის ფარგლებში.

20) აღძვრა დევნისა ამა თუ იმ პირის წინააღმდეგ, ადმინისტრატიული და სასამართლოს წესით, დანაშაულისა და ავი საქციელის გამო, რაც აღმოჩნდება მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის პროცესში და ამასთანავე წინადადების მიცემა სასამართლო-საგამომძიებლო და მაძიებელი ორგანოებისათვის და პროკურატურისათვის საჭირო მოქმედებების შესრულების შესახებ, რათა მოხდეს აღნიშნულ დანაშაულთა შემდგომი გამოაშკარავება.

21) წინადადების მიცემა დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციებისათვის, რათა მათ წარადგინონ სამოქალაქო სარჩელი სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის გამო და აგრეთვე წარდგენა ასეთი სარჩელისა დამოუკიდებლად.

22) უფლება მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარისა ან კოლეგიისა—გამოაცხადოს პრესაში სია იმ თანამდებობის პირთა, რომელნიც რევიზიის პროცესში მხილებულ იქნენ დანაშაულში, ავ საქციელში, უყაირათობაში, დაუდევრობაში და მშრომელთა ინტერესებისადმი უყურადღებოთ მოპყრობაში,—როდესაც იმ გარემოებათა არსებობას, რაც აღნიშნულ პირს ბრალდება—არ უარყოფს უწყების ან დაწესებულების ხელმძღვანელი.

23) მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი, როგორც ხელმძღვანელი ორგანო ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების მიმართ,—შეათანხმებს და წარმართავს რესპუბლიკური მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების მოქმედებას.

გ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა.

24) მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი შესდგება ოთხი განყოფილებისაგან:

ა) ოპერატიული;

ბ) სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა;

გ) საერთო და

დ) საჩივართა და განცხადებათა ცენტრალური ბიურო.

25) განყოფილებანი შესდგებიან შემდეგი ინსპექციებისა, სექციებისა და ნაწილებისაგან:

ა. ოპერატიული განყოფილება შესდგება ხუთი ინსპექციისაგან:

ა) ეკონომიური;

ბ) საფინანსო;

გ) ადმინისტრატიული;

დ) სამხედრო;

ე) შრომისა და

ვ) საიურისკონსულტო ნაწილი

ბ. სახელმწიფო აპარატების გაუმჯობესების განყოფილება შესდგება ხუთი სექციისაგან:

ა) შრომისა და წარმოებისა;

ბ) სამმართველობო ტეხნიკისა;

გ) ბუხჰალტერია და ანგარიშგება;

დ) საშტატო სასტრუქტურო და

ე) საინფორმაციო-საგამომცემლო.

გ. საერთო განყოფილება შესდგება სამი ნაწილისაგან:

ა) საერთო კანცელარია;

ბ) საორგანიზაციო-საინსტრუქტორო ნაწილი;

გ) საფინანსო სამეურნეო ნაწილი.

დ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცენტრალური ორგანოების გამგებლობის საგანი.

26) ოპერატიულ განყოფილებას ეკისრება ხელმძღვანელობა გაუწიოს მას შედგენილობაში შემავალ ინსპექციათა მთელ საინსპექციო-სარევიზიო მუშაობას. ცენტრალური ინსპექციები თავიანთ სარევიზიო-საინსპექციო მუშაობას ახორციელებენ თავისი ფუნქციონალური დანაწილების მიხედვით და თავიანთი მოქმედების მთავარ ობიექტად აქვთ სამუშაო სათანადო სახალხო კომისარიატებისა. სისწორის განაწილებას ცალკე ცენტრალურ ინსპექციათა კომპეტენციისას განსაზღვრავს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი.

27) სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების განყოფილებას ეკისრება:

ა) შრომისა და წარმოების სექციის დარგში: ა) შემუშავება შრომის პროცესების რაციონალური მეთოდებისა, ბ) შემუშავება საკითხებისა, რაც დაკავშირებულია წარმოების ტეხნიკის რაციონალიზაციასთან, სტანდარტიზაციასთან და შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან, გ) დაწესება გამომუშავების ნორმებისა და დამუშავება შრომის დაცვის საკითხებისა.

ბ) სამმართველობო ტეხნიკის სექციის დარგში: ა) შემუშავება მუშაობის რაციონალური მეთოდებისა სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და საწარმოოთა და საადმინისტრაციო აპარატებისათვის, ბ) დაწესება სახელმწიფო აპარატის სტრუქტურისა, შტატებისა, საქმის წარმოებისა და სხვა. და შემუშავება რაციონალური მეთოდებისა ადმინისტრატიული მუშაობის სფეროში.

გ) ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების სექციის დარგში: შემუშავება და დამყარება საბჭოთა დაწესებულებებში ანგარიშწარმოებისა, ანგარიშგებისა, კალკულიაციისა, ბალანსებისა და სხვ. უმეტესად სრულყოფილი ფორმებისა.

დ) საშტატო სასტრუქტურო სექციის დარგში: დაწესება სახელმწიფო აპარატის სტრუქტურისა და შტატებისა დაწესებულებათა ფუნქციების და შრომის რაციონალური გამოყენების შეთანაბრების თვალსაზრისით.

ე) საინფორმაციო - საგამომცემლო სექციის დარგში: ა) რედაქცია, გამოცემა და გავრცელება პერიოდული ორგანოებისა და აგრეთვე ყოველგვარი ბეჭდვითი ნაწარმოებისა: წიგნებისა, ჟურნალებისა, ბროშიურებისა, ფურცლებისა, პლაკატებისა და სხვ., ბ) ინფორმაციის მიწოდება პერიოდული ბეჭდვითი ორგანოებისათვის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მოქმედების შესახებ და გამგებლობა სახალხო კომისარიატის ბიბლიოთეკისა.

28) საერთო განყოფილებას ეკისრება:

ა) საერთო კანცელარიის დარგში: ა) გაძღოლა მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის საქმის წარმოებისა, ბ) დამზადება მასალისა იმ საქმეებისათვის, რასაც სახალხო კომისარიატი წარუდგენს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებს, გ) შესრულება სპეციალურ მინდობილობათა და დავალებათა (რაც ამა დებულებით გათვალისწინებული არ არის) დ) მიწერ-მოწერა, საერთო რეგისტრატურა, ექსპედიცია და საერთო არქივის გამგებლობა.

ბ) საორგანიზაციო-საინსტრუქტორო ნაწილის დარგში: ა) თვალყურის დევნება მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყველა ორგანოს მიერ სახალხო კომისარიატის განკარგულებათა და დავალებათა ასრულებისათვის შეკრება და შემუშავება მასალისა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების სტრუქტურისა და მუშაობის ფორმისა და მეთოდის საკითხების შესახებ, ბ) შედგენა საერთო ანგარიშებისა და სტატისტიკური ცნობებისა მუშათა და გლეხთა ინსპექციის დაწესებულებათათვის, გ) განსაზღვრა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის შტატებისა და აღნუსხვა მისი პირადი შემადგენლობისა.

გ) საფინანსო სამეურნეო ნაწილის დარგში: ა) შედგენა აღრიცხვებისა, ფინანსების გაცემა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულებათათვის, ბ) კონტროლი ფულად და მატერიალურ საშუალებათა მართლიერი დახარჯვისათვის, გ) სამსახურის გაწევა სახალხო კომისარიატის ცენტრალურ დაწესებულებათათვის სამეურნეო და ტეხნიკურის მხრით.

29). საჩივართა და განცხადებათა ბიუროს ეკისრება: ა) მიღება საჩივრისა და განცხადებისა, რომელშიაც აღნიშნული იქნება სახელმწიფო აპარატის ნაკლი, უყურადღებოთ მოპყრობა მშრომელთა საჭიროებისადმი, აგრეთვე, ბიუროკრატიზმი, საქმის გაჭიანურებით წარმოება და სხვ., ბ) მოხდენა გამოკვლევა-გამოძიებისა ამ საკითხებში და მათი გადაწყვეტა თანახმად ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ცალკე დებულებისა საჩივართა ბიუროს და მისი ადგილობრივი ორგანოების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **ა. შავერდოვი.**

დეკრეტი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოფლის მშრომელ გლეხობას უფლება ეძლევა მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობა, რომლის მიზანია, ერთის მხრით, სასოფლო მეურნეობის წარმოება საერთო ძალით და, მეორე

მუშათა ცხოვრება

კიდევ მუშფაკის საერთო ბინაზე

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

ჩვენ წინა წერილში მოვიხსენიეთ გაკვრით მუშფაკის საერთო ბინის მდგომარეობა. მაგრამ იძულებული ვართ კვლავ დაუბრუნდეთ ამ საკითხს.

საქმე იმაშია, რომ გვაწუხებს მეტად ბინის კრიზისი. ჩვენ ვსთქვით, რომ ოთახში ორი-სამი კაცის მაგივრად 5—6 მსმენელი სცხოვრობს, ეს მდგომარეობა სწავლის მხრივ მეტად აფერხებს საქმეს. ჯერ ერთი, რომ მსმენელები ვერ ეტევიან აუდიტორიებში, მეცადინეობა შეუძლებელი ხდება და მეორედ, რომ ვინმე გადამდებ სენით ავად გახდეს, ყველას გადაედება. ავადმყოფობა კი ჩვენს საერთო ბინაში ხშირია. ეს მდგომარეობა კი იცის ქალაქის აღმასკომმა და სხვა ორგანოებმაც, მაგრამ ჯერ-ჯერობით მდგომარეობა ვერ გამოკეთდა. ამ ბინის კრიზისის მხრივ გამოკეთება მდგომარეობის კი დაუყოვნებლივ საჭიროა.

ჩვენს მუშფაკის საერთო ბინაში რუსულ მუშფაკის მსმენელები სცხოვრობენ. მათი გადასახლება მათთვის დიდ ნაყოფს მოიტანს და ჩვენც ბინის კრიზის ბოლოს მოუღებს.

რუსულ მუშფაკს და ბინას შორის დიდი მანძილია. ამ მანძილის ყოველდღე ორჯერ გავლა რუს მსმენელებს იმდენ ფეხსაცმელს დაუხევს, რომ თავისი სტიპენდიით ამ ხარჯს ვერ დაფარავს.

ჩვენ ვიმედოვნებთ ამ საქმეს მალე მოაგვარებს აღმასკომი ამას გართულებული მდგომარეობაც მოითხოვს.

ამის გარდა ჩვენს საერთო ბინაში აუცილებელია სასადილო მოეწყოს. ამისათვის არც ოთახებია და არც საჭირო ჭურჭლები. ფულის მომჭირნეობით ხმარებას კი ვერავინ ახერხებს. ორ სამ დღეში გამოვლევთ და შემდეგ საერთო ბინაში მსმენელები ერთმანეთს ეკითხებიან: „ფული მასესხე?“ „კაცო პურისათვის მინდა, სადილი არ მჭამია და არც საუზმე, მასესხე! ავიღებ სტიპენდიას და მოგცემ!“ ფული კი არავის აქვს, მშიერი კაცი ვერ ისწავლის და აცდენენ გაკვეთილებს. ასე რომ გაკვეთილების გამოტოვება სტიპენდიის მიღებიდან—მიღებამდე თანდათან ხშირდება.

აწუხებენ სტუდენტთა კომიტეტს: მოგვეცით ავანსი სიმშილით ვკვდებით... ასე რომ მსმენელის მთელი აზროვნების ცენტრი იქითკენაა გადახრილი, რომ „ქუჩის საკითხი“ თუ როგორ მოაგვარონ. ბევრი იმ ზომამდი მიდის, რომ ტანისამოსსაც კი ჰყიდის.

ბევრიც საერთო ბინის გარეშეა. მიდიან კამენდანტთან და თხოულობენ ოთახს, მაგრამ სადაა ოთახი...

ამ ბინის კრიზისის ბოლოს მოღება და სასადილოს მოწყობა მეტად აუცილებელია იმედი გვაქვს ამას აღმასკომი ყურადღებას მიაქცევს აუცილებლად.

უცდით.

ფ. მუშფაკელი.

ნაძალადევის მუშათა თეატრში.

11 იანვარს რკინის გზელთა „მშრომელთა დასმა“ წარმოადგინა შილლერის დრამა „ყაჩაღები“. ასეთი პიესები, რომ არ კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას, ამას მოწმობს მაყურებელთა რიცხვი. თეატრის დარბაზი სავსე იყო მშრომელი ხალხით. შეიძლება ეს გარემოება მიეწეროს დამსახურებულ მსახიობს დ. ჩარკვიანის მონაწილეობას, რომელიც თუმცა ავადმყოფი იყო, მაინც ზედმიწევნით ასრულებდა თავის როლს. მან ნაძალადევის სცენაზე პირველად დაგვანახა ნამდვილი განსახიერება ფრანც მოორისა. დანარჩენი: მუშა—თიადაძე კარლოსის როლში მეტად ჩქარობდა. მას როლი კარგად დაეზეპირებია და თავს ვეღარ იკავებდა. ესევე არ ითქმის ზოგიერთ როლების შემსრულებლებზე, მაგალითად: „როლერმა“ როლი სრულიად არ იცოდა და რას ამბობდა უთუოდ თითონაც არ გაეგებოდა. ჩვენ, მუშებმა, სიზარმაცე არ ვიცით თუ რას ჰქვიან. და იმედია არ განმეორდება ეს დეფექტი. დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

მუშკორი გახო.

პასუხად ამხ. შ. ნავთლუღელს

(იხ. „კომუნისტი“ № 13)

გაზ. „კომუნისტი“-ს № 13 (865) მოთავსებული იყო წერილი მუშკორი, შაქრო ნავთლუღელის, შემდეგი სათაურით: „რატომ დაიკეტა ნავთლუღის სადგურთან სამკითხველო?“ გაცნობებთ ამხ. შაქ. ნავთლუღელო, რომ სად. ნავთლუღის სამკითხველო არ დაკეტილა. ის გადატანილია უფრო ხელსაყრელ ალაგას, ვიდრე უწინ იყო. ბიბლიოთეკა შედარებით უწინდელზე გამდიდრებულია წიგნებით და გაზეთებით.

სამკითხველოში ყოველდღიურად შედის 30—40 მუშა-მოსამსახურე არის ხმამაღალი კითხვა და აზრთა გაცვლა გამოცვლა. ის მკითხველები, რომლებიც ძველ სამკითხველოში დადიოდნენ და დაინტერესებული იყვნენ სამკითხველოთი დღესაც დადიან. რიცხვი ბიბლიოთეკის წევრების 200-ზე მეტია, (უმრავლესობა მუშებია) და დღითი დღე იზრდება.

არც ერთი მუშა-მოსამსახურე, რომელიც ცოტად თუ ბევრად აინტერესებს წიგნი (ყოველდღიური ცხოვრება) გარედ არ დარჩენილა... თქვენ ამხ. შაქ ნავთლუღელო ალბად არ დაინტერესებულხართ და არ გაგიგიათ ხსენებული სამკითხველოს წინსვლა და არა დახურვა...

ვაცხადებ თქვენ საყურადღებოდ, რომ სად. ნავთლუღის სამკითხველო გადატანილია სადგურის შენობაში მე-3-მე კლასის გვერდით, რომ უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო მუშა მოსამსახურეთა შესვლა სამკითხველოში.

სულ მოკლე ხანში სამკითხველო გადაიქცევა ბიბლიოთეკად, სადაც იქნება ახალი ლიტერატურა რუსულ, ქართულ და სომხურ ენაზედაც.

ხად. ნავთ. რკ. გზ. ბიბლიოთეკის გამგე დ. ბერუჩაშვილი.

მუშათა წერილები

დავეხმაროთ გლეხებს

ჩვენ, მუშებს, საშინელი ამბები მოგვდის სოფლებიდან. ჩვენი ძმები, გლეხები, სოფლად განიცდიან აუტანელ გაჭირვებას: მათ არა აქვთ არც ტანსაცმელი, არც ფეხსაცმელი; არა აქვთ ნავთი და სიბნელეში იხრჩობიან; არა აქვთ მარილი. საბრალო გლეხებს საშინელ სიღარიბისგან ვეღარ შეუკეთებიათ თავის ქოხუნები და სიცივით იხოცებიან; ზოგან დღესაც შიმშილი სუფევს. მაგალითისათვის დავახასიათებ სოფ. ტაბახმელაში მცხოვრებ ხუთ გლეხის ოჯახს: სოსო პაპაშვილის, სანდალა იაშალაშვილს, ქეთო პაპაშვილს, ლიზა შერმაზანაშვილის, ოლა შიოშვილის და სხვ. საშინელია აღნიშნულ ოჯახების მდგომარეობა; მათ უნდა შველა; ეს კი ჩვენი, უპირველეს ყოვლისა, მუშების ვალია.

ბევრი იწერება გლეხებისთვის დახმარებაზედ საქმით კი სულ ცოტა კეთდება. ჩვენ, მუშებმა უნდა ავიღოთ ის ვიკისროთ ჩვენი მთავრობის კეთილგანზრახვის ცხოვრებაში გატარება. ავიღოთ შეფობა ყველა ბაზრებზე და თვითონ ჩვენ, ჩვენივე ხელით, უშუალოდ, მივაწოდოთ გლეხებს იაფი საქონელი. აი სწორედ ეს იქნება ნამდვილი ჩვენი კავშირი გლეხებთან, მათთვის რეალური დახმარება და დაახლოვება.

ამხ. მუშებო, საქმე ჩვენზეა! დრო არ იცდის; ჩვენი ძმები, გლეხები ჩვენ შეგვყურებენ და ჩუმად გვთხოვენ დახმარებას.

დავეხმაროთ გლეხებს!!

მუშა—გახ. შერმაზანაშვილი.

ამ საზიზღრობას ბოლო უნდა მოეღოს!

(რკინისგზის სამმართველოს და პროფკავშირის საყურადღებოდ)

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ზოგიერთი რკინისგზელები თავიანთ საკუთარი მოგებისათვის არ ერიდებიან არავითარ საშუალებებს იღებენ ქრთამს, მიყავთ უფასოდ პასაჟირები, ეწევიან სპეკულიაციას. მიმოსვლის დროს ერთ ადგილიდან მეორეში გადმოაქვთ კონტრაბანდად სხვადასხვაგვარი საქონლები. ამით ისინი თავის ჯიბეებს ისქელებენ, გზას კი საშინელ ზიანს და ზარალს აყენებენ.

ამ მხრივ დიდ ვირტუოზული (გასაკვირალი) და საძაგლურ უნარს და „მაშენიკობას“ იჩენენ მატარებლების გამცილებლები („პროვოჟატიე“), რომელთა თავგასულობას არა აქვს საზღვარი.

საჭიროა, დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული სასტიკი ზომები „დორჩეკა“-ს მიერ ამ საძაგლობის აღმოსაფხვრელად.

დროა გაიცოცხოს წითელი ცოცხით რკინისგზის ხაზები ბათომ.-როსტოვის მიმართულებით.

მუშკორი დეპოელი.

მუშათა ქრონიკა.

საზ „ჩემო“-ს შეწირულება.

საზოგადოება „ჩემო“-მ მუშა-მგოსანი გიგო ხეჩუაშვილის სასარგებლოდ მის 25 წლის მოღვაწეობის იუბილეს გამო გადახდა ხუთი ჩერვონეცი

ქალ. აღმასკომის დადგენილება ხეჩუაშვილის იუბილეს გამო.

ქალ. აღმასკომმა დაადგინა ამხ. გიგო ხეჩუაშვილის სასარგებლოდ გადახდეს ათი ჩერვონეცი; მასთან მანვე დაადგინა ტფილისის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი დაარქვას.

საქარ. წითელი ჯვრის თანაგრძნობა.

საქართველოს წითელი ჯვარი გამოსთქვამს დიდს თანაგრძნობას მუშა იუბილარი ხეჩუაშვილისადმი და ადგენს დაეხმაროს მგოსანს თავის წვლილით

მხრით, წევრთა უზრუნველყოფა სასოფლო მეურნეობაში საჭირო იარაღით, თესლეულობით და სხვა საწარმოო საშუალებით, აგრეთვე სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების გადამუშავება გასაღება და სხვა ღონისძიების განხორციელება წევრთა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გასაუმჯობესებლად და რაოდენობის გასადიდებლად.

2. კოოპერატიული ამხანაგობის წევრთა რიცხვი არ შეიძლება იყოს ხუთზე ნაკლები.

3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათ და მათ კავშირებს შეუძლიანთ შეკავშირდნენ როგორც ტერიტორიალურად, ისე წარმოების ხასიათის მიხედვით. კოოპერატიულმა კავშირმა უნდა შეაკავშიროს არა ნაკლებ სამი ამხანაგობისა.

შენიშვნა: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობებს და მათ კავშირებს უფლება აქვთ თავისუფლად იქონიონ ურთიერთობა სხვაგვარ კოოპერატიულ დაწესებულებებთან.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას შეუძლია იმოქმედოს აგრეთვე დამოუკიდებლად, გარეშე მომხმარებელი კოოპერაციისა.

4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათ და მათ კავშირებს აქვთ იურიდიული პირის ყველა უფლებანი: მათ შეუძლიათ თავიანთი, დამუშავებული პროდუქტების, აგრეთვე წევრთა ნაწარმოების გაყიდვათ და გადაცვლით, საჭირო იარაღისა და მასალის (სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების, თესლეულობის, სასუქის და სხვა საწარმოო მასალის) შეძენა, სახელოსნოების, ქარხნების და სხვა საწარმოთა მოწყობა და დაარსება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასამუშავებლად და გასასაღებლად; თავიანთი მოქმედებისათვის საჭირო სადგომების დაჭერა, ხელშეკრულებათა დადება, მოქმედი კანონების თანახმად, ამ ხელშეკრულებებით ვალდებულებების ღება, საჩივრების აღძვრა სასამართლოს წინაშე და პასუხის მიგება და სხ.

5. ორი, ერთგვარი ხასიათის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობის წევრად ყოფნა ერთისა და იმავე დროს არ შეიძლება.

6. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობების და მათი სამეურნეო დაწესებულებათა სადგომები თავისუფალია მუნიციპალიზაცია-ნაციონალიზაციისაგან.

7. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა და მათ შენაერთთა საკუთარი წარმოების პროდუქტების, აგრეთვე მანქანა-იარაღების, სათბობი მასალებისა და სხვა საწარმოო საშუალებათა კონფისკაცია ან რეკვიზიცია არ შეიძლება, თვინიერ სასამართლოს განსაკუთრებული გადაწყვეტილებისა, ან სახალხო კომისართა საბჭოს საამისო საგანგებო დადგენილებისა.

8. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიების ორგანიზაცია წარმოადგენს სახელმწიფოებრივ საჭიროებას და ამიტომ ხელისუფლების ყველა ორგანოს ევალება დახმარება აღმოუჩინოს სოფლის მეურნეთ, რათა კოოპერატიულად დაირაზმნენ, რისთვისაც:

ა) შენაკვეთის გაცემის დროს, კერძო პირებთან შედარებით, უპირატესობა კოოპერატიულ ორგანიზაციებს უნდა მიეცეს;

ბ) აღმოუჩინოს კოოპერატიულ დაწესებულებებს ფინანსიური დახმარება სახელმწიფო შენაკვეთისა და ვალდებულებათა შესასრულებლად;

გ) [illegible] კოოპერატიულ დაწესებულებებს, კერძო პირებთან შედარებით, საჭირო სადგომების შოვნისა, ხელსაწყო-იარაღის შეძენისა და საჭირო ნედლეულობის დამზადებისათვის.

9. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციების და მათი კავშირების სალარო შესდგება როგორც ფულად, ისე ნატურით შემოტანილი საწევრო და საპაიო გადასახადისაგან, წევრთა ავანსების და სხვადასხვა პირთა და დაწესებულებათაგან მიღებული ანაბარისა და აღებულ სესხისაგან, წარმოებული ოპერაციების თვით-ღირებულებაზე ზედნართი პროცენტებისაგან და სახელმწიფოს კრედიტისაგან.

10. სასოფლო სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციები და მათი კავშირები, ოპერაციებს თავის ხარჯზე და პასუხისმგებლობით აწარმოებენ.

11. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობის და მათ შენაერთთა მმართველი ორგანოები არიან: წევრთა საზოგადო კრება, ან რწმუნებულთა ყრილობა, გამგეობა, და, უკეთუ წევრთა საზოგადო კრება ან რწმუნებულთა ყრილობა მოისურვებს, საბჭო და სარევიზიო კომისია. სასოფლო სამეურნეო ამხანაგობათა და მათ კავშირების წესდებაში დაწვრილებით უნდა იყოს აღნიშნული, მოქმედი კანონების თანახმად, თუ რა წესით მიიღებიან და გადიან წევრები, რა წესით და რა პასუხისმგებლობას ასრულებენ ისინი, ამ ორგანიზაციის ვალდებულებათა გამო ფუნქციები საზოგადო კრებისა, ან რწმუნებულთა ყრილობისა, საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა, მათი არჩევის წესი და უფლება-მოვალეობანი; გარდა ამისა აღნიშნული უნდა იყოს ანგარიშების წარმოების სისტემა და საქმეთა რევიზიის წესი.

12. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა და მათი კავშირების დასაარსებლად არ არის საჭირო საბჭოთა ხელისუფლების წინასწარი ნებართვა. ეს ორგანიზაციები მოვალენი არიან მხოლოდ რეგისტრაციაში გაატარონ თავიანთი წესდებები კოოპერატიულ სამმართველოში ქ. ტფილისში.

შენიშვნა: კოოპერატიული სამმართველო ვალდებულია განიხილოს რეგისტრაციის საკითხი, ერთი თვის განმავლობაში დღიდან წესდების მიღებისა; და თუ წესდების მიღების დღიდან ერთი თვის ვადაში, კოოპერატიული სამმართველო უარს არ იტყვის რეგისტრაციაზე, კოოპერატიული ამხანაგობა დაუყოვნებლივ შეტანილ უნდა იქნეს რეესტრში. ორგანიზაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება უარი ეთქვას, თუ მისი წესდება ეწინააღმდეგება საბჭოთა ხელისუფლების კანონ-დებულებათ.

13. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა იმ კავშირების დასაარსებლად, რომელთა მოქმედება ვრცელდება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე, საჭიროა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ლ. ღოღობერიძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი.
ალ. სალარიძე.

1924 წ. იანვარს „15“
ტფილის-სასახლე.

დადგენილება № 6

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წლის იანვრის 8.

კონტროლის ღონისძიებათა შესახებ შინა ვაჭრობის კომიტეტის მასიური მოხმარების საგნებზე ფასების შემცირების დადგენილებათა განხორციელებისათვის

რათა განხორციელებულ იქნეს კონტროლი ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შინა ვაჭრობის კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკათა შინა ვაჭრობის კომიტეტების მასიური მოძრაობის საგნებზე ფასების შემცირების შესახებ გამოცემულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის—ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებას, რუსეთის ტრესტებისა და სინდიკატების ყველა ადგილობრივ წარმომადგენლობას და კოოპერატიულ ორგანიზაციებს გამოკიდონ ხოლმე თვალსაჩინო ადგილას,—მყიდველთა საყურადღებოთ,—სავაჭრო ოპერაციების წარმოების ადგილებში (კონტორებში, საწყობებში, მაღაზიებში და დუქნებში) ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შინა ვაჭრობის კომიტეტის და ცალკე რესპუბლიკათა შინა ვაჭრობის კომიტეტების მიერ დამტკიცებული ფასები მასიური მოხმარების საგნებისა. ამის შეუსრულებლობისათვის დამნაშავე მიცემულ იქნეს პასუხისგებაში შინა ვაჭრობის წესების დარღვევისათვის იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სადაც უფლების დარღვევა მოხდება.

2. წინადადება მიეცეს ყველა რესპუბლიკანურ ეკონომიურ საბჭოს იხმარონ საჭირო ღონისძიებანი, რათა რაც შეიძლება ფართედ ეცნობოს ქალაქისა, და განსაკუთრებით, სოფლის მოსახლეობას მასიური მოხმარების საგანთა ფასების შემცირება, კერძოდ კი გამოკიდონ ხოლმე, მოქალაქეთა საყურადღებოთ, ყველა აღმასრულებელ კომიტეტში (სამაზრო, საქალაქო, სარაიონო, სათემო და სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტებში) შინა ვაჭრობის კომიტეტების დადგენილებანი ფასების შემცირების შესახებ—განსაკუთრებული აღნიშვნით, თუ რა ფასით უნდა გაიყიდოს ამ ადგილას საქონელი სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერაციის დუქნებიდან.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭ. თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი ნ. სოკოლსკი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება მობილიზაციის წესით იწვევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, რომლებმაც მოხსენებები უნდა გააკეთონ 22 იანვარს, მუშათა კლუბებში 9 იანვრის ამბების შესახებ.

ცხაკაია, მახარაძე, გოგობერიძე, რუბენი, ტაკუევი, მარია ორახელაშვილი, ტოროშელიძე, ვარძიელი, ერქომაიშვილი, ტალახაძე, ა. ესსენი, მიქაძე, მამულაშვილი, პოლოსიანი, ვართანიანი, მარკარიანი ლეინი, ვოლი, ნასარძე, ცინცაძე.

კრების მოწვევის დღისა და ადგილის შესახებ გამოცხადებული იქნება დამატებით.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე
მ. ესსენი.

— საქართ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 3-ე რაიკომში შემოვიდა ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. იმ პირებმა, რომელთაც აქვთ რაიმე მამხილებელი საბუთები ამ ამხანაგების შესახებ, უნდა წარადგინონ განცხადება 3-ე რაიკომში (კახეთის ქუჩა № 1) ერთი კვირის განმავლობაში.

1. დოლინგი ბორის—სად. აგტაგლიას ნავთსადენის ხარატი.
2. ვიშნევეცკი დიმიტრი—სად. აგტაგლიას ნავთსადენის ხარატი.
3. აპრიამოვი სიმონი—სამხედრო წისქვილის მუშა.
4. აირაპეტოვი სტეფანე—ახალგ. კომკავშირის წევრი—მუშა.
5. ხუციშვილი იაკობ—ქალაქის სასაკლაოების მუშა.
6. რუსტამოვი მამეჯან—მეცხვარეთა საზ—ბის გამგეობის წევრი—მოსამსახურე.

მდივნის მაგიერი—პირალოვი.

— ს. კ. პ. ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 19 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის შენობაში მოწვეულია ქალთა განყოფილებების ყველა ორგანიზატორების თათბირი.

დასწრება სავალდებულოა.

ქალთა განყ. გამგე პენიაკოვა.

— დღეს, 19 იანვარს, საღამოს 5 საათზე მუშკოოპის ბინაზე (მესამე სართული) მოხდება სხდომა მდივნებისა, ბიუროსი და კომუჯრედების ყველა დელეგატებისა, სამხედრო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1. მოხსენება ამხ. რუბენისა. 2. მოხსენება საკონტროლო კომისიისა.

რადგანაც განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები, სავალდებულოა ყველას დასწრება.

მდივნის მაგიერ მაშკევიჩი.

პროფესიული.

განათლების მუშაკთა სახლში.

— დღეს, 19 იანვარს საღ. 6 საათზე გ. ნათაძის ლექციები ქართულ ენაზე: საქართველოს ისტორიის კურსი საზოგადოებრივ მეტყველებასთან დაკავშირებით.

— საღ. 6 საათ. შესდგება ამხ ფილიპე მახარაძის მოხსენება. თემა:

1905 წელი საქართველოში.

— საღ. 8 ნახ. საათ. გაიმართება 1 მუსიკალური საღამო გან. მუშ. სახლთან დაარსებულ გალობისა და მუსიკის ქ. ს. საღამოების ციკლიდან. 1 საღამო მიეძღვნება მაიკოვსკის ნაწარმოებებს (მისი გარდაცვალებიდან 30 წლის შესრულების გამო).

სახლის გამგე—შიუკაშვილი.
ც. გ. საქმეთა მმართველი—ბარამიძე.

განცხადებები

ღრმად დაღონებულნი მეუღლე ნატალია ზაქარიას ასული ელიაშვილისა, შვილები: იაკობი, ეკატერინე, შურა, ნინო, სოფიო; რძალი ტატიანა, შვილის-შვილი მერი, სიძე მიხეილ გრძელიშვილი, ანნა და ვიქტორ კავთელაძეები, სალომე მახარობლიძისა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასს ექიმის თანაშემწე

გიორგი იაკობის ძე
ელიაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას პანაშვიდი დანიშნულია შაბათს 19 იანვ. საღ 7 საათ. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე კვირას, 20 იანვარს დილის 10 საათ სახლიდან ჩერქეზოვის ქ № 36. ფუ 1—1

თინათინ გიორგის ასული, დავითი ილარიონ ს ძე, შვილებით: ზაქარია და ირაკლი ფორაქიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 20 იანვარს იქნება გადახდილი

ელისაბედ (ლიზა) სპირიდონის ასული
ვაჩნაძისა

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი; პირველის დედისა, მეორის—სიდედრის და უკანასკნელთა ბებიასი. ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესია, პანაშვიდი 12 ს. 416—1—1

იურიდიული კონსულტაცია

მოწყობილი დამცველთა კოლეგიის წევრთა მიერ აძლევს მსურველებს იურიდიულ დარიგებას და შეუდგენს საქმის წარმოების ქაღალდებს ყოველ სამუშაო დღეს, დილის 10 ს.—2 ს. გასვლამდე.

რჩევის მისაღებათ მსურველებმა უნდა მიმართონ საკონსულტაციო კამერებს:

1. სასამართლოს ქ სასამართლო დაწესებულებათა შენობაში,
2 ტურგენევის ქ. სახლი № 4 და 3. სურ-კარაპეტის ქ., დარიგება ღარიბებს უსასყიდლოთ.

413—1—1 დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი

გამეორებით აძლევს წინადადებას ამიერ-კავკასიის ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომლებსაც შეფობა აქვთ ნაკისრი ჯარის ნაწილებზე, სოფლებზე, საბავშვო სახლებზე თუ სხვ., რათა ერთი კვირის განმავლობაში გაატარონ რეგისტრაციაში ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში (გრიბოედოვის ქ № 19)

იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომლებიც თავის დროზე არ წარმოადგენენ მოთხოვნილ ცნობებს, პასუხს აგებენ იმისათვის.

ა. კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექც.
ნის. 848—5—3 სახ. კომისარის მაგიერ ა. ხუმარიანი

ამინდი ამიერ-კავკასიაში

17 იანვარი, დილის 7 საათი.

ტემპერატურა (ცელსიით):

სოხუმში... 4 გრ., ფოთში... 5 გრ., ბათომში... 7 გრ., სამტრედიაში... [illegible] გრ., ქუთაისში... 3 გრ., აჯამეთში... 3 გრად., ქიათურაში... 1 გრად., ბორჯომში... 2 გრ., სურამში... [illegible] გრ., მუხრანში... 4 გრად., ტფილისში... 8 გრ., მუკუზანში... 1 გრად., ერევანში... 0 გრ., ბაქო... 3 გრ.

ღრუბლიანობა: მცირე, სოხუმში საგრძნობი ქიათურაში აჯამეთში და მუკუზანში დიდი. ყველა დანარჩენ ადგილებში სრული.

ქარის ქროლა: ფოთში—აღმოსავლეთის, ნელი; სამტრედიაში—აღმოსავლეთის, სხვა ადგილებში ნელი ან სულ სიწყნარეა.

ნალექი: არსად არ ყოფილა.

ზღვის მდგომარეობა [illegible] ფოთში, ბათომში, ბაქოში ლენქორანში—სიწყნარეა.

[illegible]

(ცვალებადი ღრუბლიანობა, [illegible] საქართველოში ჰყინავს.

ჩრდილოეთ კავკასია.

17 იანვარი, დილის 7 საათი.

კაზბეგი. ტემპერატურა:—7 გრ. მოღრუბლულია, ქარი არ ქრის.

კიზლიარი. ტემპერატურა: 0 გრ. მოღრუბლულია, ქრის აღმოსავლეთის ნელი ქარი.

ტფილისი

18 იანვარი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 4 გრ., მოღრუბლულია, ქარი არ ქრის.

ქ. ტფილისის მე-4 და მე-5 უბნის სახალხო სასამართლო

განჩინებათა აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოლუხოვი აცხადებს, რომ 4 თებერვალს 1924 წ., შუადღის 12 საათზე, ფეთხაინის აღმართზე, სახლი № 5 მოხდება

საჯარო ვაჭრობა

უძრავ ქონებაზე, რომელიც ეკუთვნის უკვალოდ დაკარგულ მისაკ აკოფას ძე სატენიკ და სერგო მისაკის ძე ანტონიანცებს და რომელიც მდებარეობს მეხუთე სამილიციო უბანში, ფეთხაინის აღმართზე, სახლი № 5; ქონება შესდგება ორ სართულიან შირეულ აგურის სახლიდან რკინის სახურავით, შეიცავს ის 8 ოთახს ორი სამზარეულოთი და სხვა საჭირო ნაწილებით, შეფასებულია 350 მან. ჩერვონცით და აწერილია სტეფანე სტეფანოვი პრეტენზიის დასაფარავათ 1227 მ. 60 კ. ჩერვ. რაოდენობით თანხმად ქ. ტფილისის მეხუთე უბნის სახალხო სასამართლოს მიერ გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა 1923 წ. 13 აგვისტოს თარიღით, № 592

ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში ამ ქონებაზე, ისინი ვალდებულნი არიან წარუდგინონ საჯარო ვაჭრობის დღეს სასამართლო აღმასრულებელს ცნობა კომუნალურ განყოფილებიდან, რომ არც ისინი, არც მათი მეუღლე და არც შვილები არ ჰფლობდნენ როგორც მესაკუთრენი რაიმე შენობას ქ. ტფილისში; გარდა ამისა ისინი ვალდებულნი არიან დასდონ ხელწერილი, რომ არც ისინი და არც მათი ოჯახის წევრნი არ ჰფლობენ რაიმე შენობას სხვა ადგილას.

ამ ქონების გაყიდვის შესახებ საქმე მსურველთ შეუძლია ნახოს სასამართლოს აღმასრულებლის კამერაში, მუხრანის ქ № 4, საჯარო ვაჭრობის დღეს და აგრეთვე მის წინა დღესაც, დილის 10 საათიდან შუადღის 1 საათამდე.

418—1—1 სასამართლოს აღმასრულებელი ლ. სვიატოლუხოვი.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობისა

რენტგენის ელექტრო სხივებით და სინათლით ექიმობა ყოველდღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

ღარიბებს უფასოთ. 25—1

ექიმი
პ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 303—25—1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დიათერმია
მიხეილ გადავანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25 25

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 8674 ვლადიმერ მჭედლიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 417—1—1

დაიკარგა საბინაო დავთარი პარკოვის ქ. თომა თათრიშვილის სახლისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 420—1—1



მიიღება ხელის მოწერა საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭოს ყოველდღიურ გაზეთ

„მუშაზე“

გაზეთი „მუშა“ პირველ ყოვლისა მუშათა გაზეთია, ამიტომ რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ მის ფურცლებზე გადაშლილ და გაშუქებულ იქნეს ყოველივე ის, რაც შეადგენს ჩვენი მკითხველებისათვის ყოველდღიურ ცხოვრებაში საჭირბოროტო საკითხებს.

გაზეთი ყოველდღიურათ გამოვა ექვსი გვერდი

კვირაობით და განსაკუთრებულ შემთხვევების დროს კი რვა გვერდი

რას მისცემს გაზ. „მუშა“ 1924 წლის განმავლობაში თავის წლიურ ხელისმომწერლებს?

12 წიგნს საერთაშორისო და ადგილობრივ მუშათა მოძრაობის შესახებ.

6 წიგნი მოთხრობები, ლექსები. უმთავრესათ ადგილი ექნება დათმობილი მუშა მწერლების ნაწარმოებებს

6 წიგნი ოჯახში საჭირო და გამოსადეგი ცნობები, თავის მოვლა, ბინის მოწყობა, ეზოში ბაღისა და ბოსტანის გაშენება და სხ.

6 დიდ სურათი: „პროლეტარული ბელადები“, „წითელი გუშაგი საღარაჯოზე“, „ლენინი ტრიბუნაზე“ და სხვ.

სურათები ძველი რევოლიუციონერებისას, სხვათა შორის ლადო კეცხოველის ზაქრო ჩოდრიშვილის და სხ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სურათს.

საქართველოს და საბჭოთა კავშირის პროფესიონალურ კავშირების მეთაურთა და ბელადების სურათებს.

გაზეთი თვიურათ ღირს კოლექტიური ხელმოწერით 80 კაპ. ჩერვონ.
კერძო ხელმომწერთათვის 1 მ. ჩერვონეც.